

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკური პოლიტიკის კათედრა

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის „ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური დიპლომატიის“ მოდულის მეორე სემესტრის მაგისტრანტის ანანო ხიზანიშვილის კვლევითი პროექტი თემაზე:

სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევების წინაშე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რევაზ გველესიანი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თსუ პროფესორი

თბილისი

2019

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი 1. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებში.....	8
§1.1. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის მიზანი-საშუალება სისტემა.....	8
§1.2. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მახასიათებლები.....	9
§1.3. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის სტრატეგია და მისი გამტარებლები.....	17
თავი 2. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის განხორციელების თავისებურებები ვიშეგრადის ქვეყნებში.....	33
§2.1. ჩეხეთის რესპუბლიკა.....	35
§2.2. სლოვაკეთი.....	43
§1.3. პოლონეთი.....	52
§1.4. უნგრეთი.....	64
თავი 3. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის შედეგები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში.....	70
§3.1. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის არსებული მდგომარეობის ანალიზი.....	70
§3.2. რაციონალური სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის შემუშავებისა და მისი ეფექტიანი განხორციელების გზები.....	82
დასკვნა.....	88
გამოყენებული ლიტერატურა.....	93

შესავალი

მეოცე საუკუნის მიწურულს, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რომლის მრეწველობა და მთლიანად ეკონომიკა განვითარდნენ ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, მაგრამ საბოლოო ჯამში არაეფექტური აღმოჩნდნენ, დადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკითხი. ამ პერიოდში გაჩნდა კითხვა: დემოკრატია უწყობს ხელს საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, თუ ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა არის დემოკრატის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა? მრავალი მკვლევარის აზრით, სწორედ ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკაა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიული პრინციპების დანერგვას სახელმწიფოში. ასე, რომ საბაზრო ეკონომიკის განვითარება უნდა მოხდეს ავტორიტარულ რეჟიმში, ე.ი. ჯერ უნდა განვითარდეს ეკონომიკური რეფორმა და შემდეგ, პოლიტიკური.

ძლიერი და ქმედითი ეკონომიკური რეფორმების გატარებისთვის აუცილებელია ლეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც არ იქნება დიდად დამოკიდებული მიმდინარე მოვლენებზე, როდესაც ხშირია სოციალური სტრესები/დამაბულობები და ზოგადად სოციალური მდგომარეობა მეტად არამყარია. დაბალ ლეგიტიმური ხელისუფლებისა და ისეთი საზოგადოების პირობებში, სადაც საშუალო ფენა ფაქტობრივად არ არსებობს, ეკონომიკური რეფორმის განხორციელების შესაძლებლობა ძალიან მცირეა, რადგან ასეთ რეფორმებს წინ უნდა უძღვოდეს საზოგადოების განათლება და თვითშეგნება. ზემოთ აღნიშნული სახის საზოგადოებაში ძალიან პრობლემატურია შეგნებული კოლექტიური მოქმედებების ორგანიზების საკითხი, რაც ეკონომიკური რეფორმისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, თითქმის შეუძლებელი ხდება გრძელვადიანი ინტერესების არსებობა და სახელმწიფო ხარჯებიც ძირითადად მოკლევადიანი ინტერესების რეალიზებას ხმარდება. ეს ყველაფერი მძიმე სოციალური მდგომარეობიდან და საზოგადოებრივი მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს, რადგან ისეთ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი მეფობდა, საზოგადოებას ჯერ კიდევ ჰგონია, რომ მათი სოციალური მდგომარეობა მთლიანად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ასეთი დამოკიდებულების ეკონომიკური შედეგი არის შემოსავლების არაეფექტიანი განაწილება, ხარჯების კიდევ უფრო მეტად ზრდა და შესაბამისად, დაზოგვისა და ინვესტირების შემცირება, რაც იწვევს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას.

საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამართლიანობის განცდას, რაც თავის თავში გულისხმობს, სახელმწიფო სახსრების

სამართლიანად გადანაწილებასა და მოხმარებას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დონისძიებების დაფინანსებასა და განხორციელებას, სახელმწიფო ქონების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვას. ვინაიდან, საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლება და კეთილგანწყობის მოპოვება დემოკრატიული სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილოს საზოგადოების ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები. ეკონომიკური რეფორმების წარმატების ალბათობა დიდწილად დამოკიდებულია იმ იდეებსა და ღირებულებებზე, რომელიც არსებობს დემოკრატიულ საზოგადოებებში. ეს პირველ რიგში ეხება ისეთ იდეას, როგორცაა, მაგალითად, თანასწორობის იდეა - როდესაც მოქალაქეებს სჯერათ, რომ რეფორმების პროცესში გაწეული დანახარჯები თანაბრად ნაწილდება. ამ შემთხვევაში ეკონომიკურ რეფორმებს უფრო მეტი წარმატება ელით. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება მოიპოვონ ისეთმა ფაქტორებმა, როგორცაა ურთიერთნდობა მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის და კონსენსუსი საზოგადოებაში. რეფორმებისათვის აუცილებელი კონსენსუსის მისაღწევად დემოკრატიული მთავრობები ცდილობენ მოიპოვონ მოქალაქეების ნდობა, რადგან მათი წარმატება დამოკიდებულია რეჟიმის ფართომასშტაბიან ლეგიტიმურობაზე. მაგრამ, როდესაც პოლიტიკოსები არიან ცნობილი კორუფციის მაღალი დონით, მათ არ შეუძლიათ მოიპოვონ მხარდაჭერა ხალხისაგან. თუკი პოლიტიკოსები თავიანთ მანდატებს ეფექტიანად გამოიყენებენ და იმუშავებენ საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევაზე, მათი წარუმატებლობის რისკი მინიმუმამდე შემცირდება. ამგვარად, ეკონომიკური რეფორმების წარმატება თუ წარუმატებლობა დიდწილად დამოკიდებულია პოლიტიკურ რეფორმებზეც, საჭიროა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების ერთგვარი შეთანხმებული მოქმედება, რაც სახელმწიფოს მხრიდან დიდ სიფრთხილესა და ახალი სოციალური პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვს. იგულისხმება, რომ ამავე დროს პოლიტიკოსების მორალური ქცევა სრულიად ლეგიტიმურია.

XX საუკუნის მიწურულს რიგ ქვეყნებში დემოკრატიული წყობის „ფეხის შემოდგამასთან“ ერთად საგრძნობლად იზრდებოდა სახელმწიფო ხარჯები. შეინიშნებოდა ეროვნული შესყიდვების სისტემაზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გავლენის ტენდენცია. აუცილებელი გახდა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც განსაზღვრავდა სამთავრობო შესყიდვების განხორციელების ზოგად წესს. სწორედ ამ პერიოდში შემუშავდა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, ხოლო 1979 წელს ამ

შეთანხმების ფარგლებში ძირითად მონაწილეებს შორის გაფორმდა სპეციალური ხელშეკრულება სამთავრობო შესყიდვებთან დაკავშირებით (GPA), რომლის მოქმედების სფერო თავდაპირველად მეტად შეზღუდული იყო. თუმცა, მოგვიანებით, 1994 წელს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განივრცო და დაიხვეწა აღნიშნული რეგულაციები, მოხდა სამთავრობო შესყიდვების შეთანხმების შემდგომი სრულყოფა და იგი ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვრიდან. სპეციალური დირექტივები საზოგადოებრივ შესყიდვებთან დაკავშირებით დამკვიდრდა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან: თავდაპირველად 1971 წელს მიღებულ იქნა ევროდირექტივა სამუშაოების შესყიდვებთან დაკავშირებით, ხოლო 1976 წელს დაემატა ანალოგიური მოთხოვნები საქონლის მიმართ. ძირითადად იგი ეფუძნებოდა შესყიდვების თაობაზე თანამეგობრობაში გაცხადების რეჟიმს, ტექნიკური სპეციფიკაციების გამოცხადების ნეიტრალიტეტის პრინციპს და კონტრაქტის მინიჭების შერჩევის პროცედურებში ობიექტური კრიტერიუმების გამოყენების აუცილებლობას.¹ აღნიშნული დირექტივების ჩამოყალიბების პროცესი გაგრძელდა 80-იან წლებშიც. ამ პერიოდში ევროპის სახელმწიფოებში მიმდინარეობდა საზოგადოებრივი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარება და წარმოებდა განუწყვეტელი მონიტორინგი მონაწილე მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

ყურადღება მახვილდებოდა შემდეგ საკითხებზე:

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას გამჭვირვალობის დონის ამაღლება;
- ევროდირექტივებით განსაზღვრული მოთხოვნების განხორციელებაზე მკაცრი კონტროლის დაწესება;
- უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დირექტივების მოქმედებების არეალის გაფართოება (მათ შორის აქცენტი გაკეთდა მომსახურების შესყიდვაზე).

ვინაიდან, სახელმწიფო შესყიდვები უზარმაზარ როლს თამაშობს დემოკრატიული ქვეყნის წარმატებულად მართვის საკითხში, საშუალებას იძლევა საზოგადოების მიერ გადახდილი გადასახადები გამოყენებულ იქნას უფრო ეფექტიანად და სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით არსებულ კომპანიებს მიეცეთ საშუალება მეტად განვითარდნენ და შეიტანონ თავიანთი წვლილი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში,

¹ ხომერიკი თემურ, კონკურენტული რეგულირების პრაქტიკა საერთაშორისო პროკურმენტში, საქართველოს ეკონომიკა, № (178) 2013, გვ. 65-66

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ცდილობდნენ თავიანთი წვლილი შეეტანათ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო შესყიდვების თანამედროვე სისტემის ფორმირების საკითხში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ვაჭრობის კანონმდებლობის კომისიამ 1994 წელს მიიღო UNCITRAL მოდალური კანონი, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი სახელმწიფო შესყიდვების მეთოდები და პროცედურები. მას თან დაერთო სახელმძღვანელო რეკომენდაციები, რომელმაც საგრძნობლად გაამარტივა საქართველოში შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავების პროცესი.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დანერგვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რადგანაც თანხები, რომლის გამოყენებაც ხდება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის დიდ ნაწილს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ის საკითხიც, თუ რამდენად რაციონალურად და სწორად გამოიყენება აღნიშნული რესურსები. აქ გასათვალისწინებელია კორუფციის საკითხი, რადგან კორუფციის შედეგად სახელმწიფო თანხების არაგონივრული/არარაციონალური ხარჯვა და შესყიდვების სფეროში საქმიანობის ხარვეზები მთელი მსოფლიოს წინაშე ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით კი ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, რადგან შესყიდვების პროცესში მონაწილე სუბიექტები ცდილობენ არაკანონიერი გზით მიითვისონ სახელმწიფო სახსრები, რაც შემდგომში ქვეყნის ეკონომიკაში იწვევს ისეთ გართულებებს, როგორებიცაა არათანაბარი, არასამართლიანი განაწილება, რესურსების გაფლანგვა და სხვა მრავალი.

საქართველოში, ისევე როგორც, სხვა მრავალ განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყანაში, სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ჩამოყალიბება ხანგრძლივი პროცესი იყო და მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი მის თავდაპირველ სახეში. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი - საჯაროობა, დიდი ხნის მანძილზე იხვეწებოდა და ვითარდებოდა, თუმცა იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა პირველ ნაბიჯებს დგამდა, საქართველოში საკმაოდ მძიმე ეკონომიკური სიტუაცია იყო როგორც ფინანსური, ისე ტექნოლოგიური თვალსაზრისით. სოწრედ ამიტომ საჯაროობისა და სამართლიანობის მიღწევა საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენდა. ამ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების პროცესი (ტენდერები და გამარტივებული შესყიდვები) მაკულატურის მასიური გამოყენებით მიმდინარეობდა და

მიუხედავად იმისა, რომ იყო საშუალება დაინტერესებულ პირს არქივიდან გამოეთხოვა დოკუმენტაცია, საჯაროობა და გამჭვირვალობა მაინც ხელმიუწვდომელი და შორეული პერსპექტივა ჩანდა, რადგან ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში საზოგადოების უმეტესი ნაწილი არც იყო ინფორმირებული თუ რას წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვა.

იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარებულიყო და გაზრდილიყო შესყიდვების სისტემის ეფექტურობა, საქართველოში ამ სისტემის რადიკალური მოდერნიზების შედეგად 2010 წლის ბოლოს ქვეყანა მთლიანად ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე გადავიდა. 2010 წლის შემდეგ ელექტრონულად იმართება ყველა ის პროცესი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების ნაწილია და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა ონლაინ რეჟიმში დააკვირდეს მიმდინარე შესყიდვებს, რომელიც განთავსებულია ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ვებ-გვერდზე - www.procurement.gov.ge.

თავი 1. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებში

§1.1. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის მიზანი-საშუალება სისტემა

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დაიწყო საკუთარი სახელმწიფოებრიობის პრინციპების ჩამოყალიბება, რისთვისაც სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტებთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია ეფექტურად ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის შემდგომ სწრაფ განვითარებას. ამასთან ერთად სახელმწიფოს გააჩნია თავისი ეკონომიკური ფუნქციები, რომელთა ზედმიწევნით შესრულებაზეც თავად არის პასუხისმგებელი. ამ ფუნქციების შესასრულებლად ხელისუფლების ხელში არსებული ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი არის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფომ უნდა გაატაროს ის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს დასახული, მოკლევადიანი, თუ გრძელვადიანი, მიზნების მიღწევას ყველაზე ეფექტური გზებით. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებას, ხარჯვას, მიზნობრიობასა და ეფექტურობას, განსაკუთრებით შემოსავლების ქრონიკული დეფიციტის პირობებში. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის არარაციონალურობა და სიმწირე საგრძნობლად უშლის ხელს სახელმწიფოს ეკონომიკური და არა მარტო ეკონომიკური ფუნქციების აღსრულებაში. განსაკუთრებით სავალალო ხდება სიტუაცია, როდესაც რესურსები, რომელიც ქვეყანას ისედაც მწირი რაოდენობით მოეპოვება, არასწორად ნაწილდება და ხდება კორუფციის წყარო, რომელიც ძირს უთხრის ახალ სახელმწიფოებრიობას. ქვეყანაში აუცილებელია ჩამოყალიბდეს რაციონალურად მომუშავე საბიუჯეტო სისტემის მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს მიზნობრიობისა და შედეგიანობის ზრდას.

ბიუჯეტი არის სახელმწიფო რესურსების განაწილების გეგმა. მას აქვს ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და მმართველობითი ფუნქცია. თავისი დატვირთვიდან გამომდინარე ბიუჯეტი უპირატესად არის ფინანსური ნაკადების მოძრაობის გეგმა, რომელიც გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე (საგადასხდელო ბალანსი, სრული დასაქმება, ეკონომიკური ზრდა, ფასების სტაბილურობა) და თავად ხდება მათი გავლენის ქვეშ. გარდა ამისა ბიუჯეტის ეკონომიკურ ფუნქციებში მოიაზრება შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების

ფუნქცია და რაგდანაც, სახელმწიფო ბიუჯეტი „საზოგადოების კუთვნილება“, ქვეყნის მოქალაქეებს უზრუნველყოფს პრეტენზიას, მათი რესურსები მაქსიმალურად ეფექტიანად, რაციონალურად და სამართლიანად იქნას გამოყენებული. სწორედ ამ მიზნების მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობა მიიღოს ან დააკვირდეს სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენების პროცესს.

სახელმწიფო შესყიდვები სახელმწიფოს ადმინისტრირების პოლიტიკის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია. მისი როლი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მეწარმეობის განვითარებაში. შესყიდვების პროცესის გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში მიმდინარეობა პირდაპირპროპორციულად აისახება კერძო კომპანიების შემოსავლების ზრდაზე და სახელმწიფო სახსრების ათვისების ხარჯზე. ასევე მნიშვნელოვანია შესყიდვების გეგმების საჯაროობა და წინასწარ განსაზღვრა, რაც მიმწოდებელ კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს დაგეგმონ თავიანთი სტრატეგია ამა თუ იმ საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის კუთხით საჭირო ტექნიკური თუ მატერიალური საშუალებების განახლებასა და შექმნასთან დაკავშირებით. დამწყებ მეწარმეთათვის სახელმწიფო შესყიდვები შეიძლება ჩავთვალოთ საქმიანობის დაწყების სურვილის ერთ-ერთ მასტიმულირებელ ფაქტორად, რადგან მათთვის სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის შესწავლისას ნათელი ხდება თუ რა სახის საქონელსა და მომსახურებაზე არსებობს მოთხოვნა სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან, შესაბამისად, მათ უადვილდებათ სწორად განსაზღვრონ თავიანთი მოღვაწეობის მიზნები მათთვის სასურველი სფეროს მიხედვით.²

§1.2. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მახასიათებლები

გამართული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა არის ჯანსაღი კონკურენცია, გამჭვირვალე და მარტივი პროცედურები, არადისკრიმინაციულობა და დამოუკიდებელი, კომპეტენტური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ტენდერების შეუფერხებლად მიმდინარეობას და სამართლიანად განიხილავს ტენდერებთან დაკავშირებულ საჩივრებს. ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გამართული სახელმწიფო შესყიდვების სისტემა როგორც სახელმწიფო სტრუქტურების,

² გაფრინდაშვილი გიორგი, შესყიდვების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, 2015 წელი, გვ. 4-5.

ასევე კერძო სექტორისათვის. სახელმწიფო ხომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი მომხმარებელია ქვეყნის ფარგლებში და შესყიდვებზე ყოველწლიურად გადასახადის გადამხდელთა ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება.

სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ყველა განხორციელებული თუ განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვის ეფექტურობისა და ლეგალურობის მიღწევა. მან ასევე უნდა წახალისოს ინოვაციები და მხედველობაში მიიღოს გარემოსა და საზოგადოების კეთილდღეობის საკითხები.

- **კონკურენციის ხელშეწყობა** - კონკურენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკისთვის, ის არის საბაზრო ურთიერთობების ძირითადი შემადგენელი ელემენტი და წარმოადგენს ბაზრის სიმბოლოს, რომლის გარეშე შეუძლებელია საბაზრო მეურნეობის საფუძვლების დაცვა, თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის პრინციპების განხორციელება, ცალკეული პერიოდისთვის სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება და მომხმარებლისთვის მისაღები ფასის ფორმირება. განსაზღვრულ საზონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება ხდება უშუალოდ ბაზარზე, რომელიც რაც უფრო კონკურენტულია, მით უფრო მოგებულია საზოგადოება. ამდენად, კონკურენცია საბაზრო ეკონომიკაში ფასწარმოქმნის მექანიზმის ისეთ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, რომლის არსებობის საჭიროება უკვე დიდი ხანია აღიარებულია მთელს მსოფლიოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენციის მთავარი მიზანი არის უპირატესობის მოპოვება ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის და მაქსიმალური მოგების მიღება უპირატესობის მიღწევის ხარჯზე. თუმცა ისიც ფაქტია, რომ კონკურენცია, ისევე, როგორც მისი საპირისპირო მოვლენა - მონოპოლია, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ განსაზღვრულ მდგომარეობაში. შესაბამისად, კონკურენციისა და მონოპოლიის სახეობები დამოკიდებული არიან შესაბამისი სასაქონლო ბაზრის ისეთ პარამეტრებზე როგორცაა - კონკურენტულ სასაქონლო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელთა რაოდენობა, ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის თავისუფლება, საქონლის დიფერენციაცია და საბაზრო ფასების გაკონტროლებაში ცალკეულ სუბიექტთა როლი.

თავისუფალი კონკურენციის ქვეშ იგულისხმება ისეთი ბაზარი, რომლის ფუნქციონირების პირობებს განსაზღვრავს მომხმარებელი. კერძოდ, იწარმოება ის, რაც სჭირდება მყიდველს და საქონელი იყიდება მაქსიმალურად შესაძლებელ დაბალ

ფასებში. ბაზარი იმითაა ეფექტური, რომ წარმოების ან გასაღების რეიმე კონკრეტულ ცვლილებებს არ შეუძლია გააუმჯობესოს მომხმარებლის ან გამყიდველის მდგომარეობა სხვა რომელიმეს უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაყენების გარეშე.

ზემოთ ჩამოთვლილი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზეზების გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის არსებობის ერთ-ერთ მთავარ მიზნად დასახელებულია კონკურენციის ხელშეწყობა. რადგანაც საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები უკვე ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ხორციელდება, ნებისმიერ კომპანიას, დიდი რესურსის მფლობელი იქნება თუ დამწყები, აქვს საშუალება მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვებში.

როგორ იქმნება კონკურენცია? გამარტივებული წესით შესყიდვის შემთხვევაში, საქართველოში არსებულ სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციას აქვს ვალდებულება ჩაატაროს შესყიდვის განხორციელებისთვის წინამოსამზადებელი სამუშაო, ე.წ. ბაზრის კვლევა. შესყიდვის წინამოსამზადებელი პირველი ეტაპია შესყიდვის ობიექტის ისეთი მახასიათებლების ჩამოყალიბება, რომელიც არ შეზღუდავს მიმწოდებელ კომპანიებს, ეს ნიშნავს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა რომელიმე კონკრეტული მწარმოებლის მიერ შექმნილი, არამედ ზოგადად კარგად ფუნქციონირებადი და ხარისხიანი პროდუქტის შექმნა. სწორედ ამიტომ, ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებობს კომპანიების რანჟირების ფუნქცია, რომელიც საშუალებას იძლევა შესყიდვის სპეციფიურობის მიხედვით მოვიძიოთ ის კომპანიები, რომლებიც შეძლებენ ჩვენთვის სასურველი ნივთისა თუ მომსახურების მოწოდებას. კომპანიების მოძიების შემდეგ მათ ეგზავნებათ შემსყიდველის მოთხოვნა, საბოლოოდ კი ხელშეკრულება უფორმდება მას, ვინც ყველაზე ხარისხიან და დაბალფასიან პროდუქციას შესთავაზებს შემსყიდველს. მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა გამარტივებული შესყიდვები სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება, რადგან ძალიან რთულია აკონტროლო ყველა სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაცია მოქმედების ყველა ეტაპზე.

სხვა საკითხია ელექტრონული ტენდერებით კონკურენციის ხელშეწყობა, რადგან ამ შემთხვევაში თითქმის ყველა პროცედურული საკითხის გადაწყვეტა მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში, სადაც თითქმის ყველა მსურველს აქვს შესაძლებლობა დააკვირდეს ტენდერის მიმდინარეობის პროცესს. სატენდერო შესყიდვასთან დაკავშირებით, კომპანიები ცდილობენ შემსყიდველს შესთავაზონ რაც შეიძლება ხარისხიანი

პროდუქცია მაქსიმალურად დაბალ ფასად, რათა მათ მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაზე დახარჯული დრო და ფინანსური რესურსი არ გაიფლანგოს. ასევე, არსებობს ტენდერის გასაჩივრების შესაძლებლობაც, რაც ტენდერის შედეგებით უკმაყოფილო კომპანიას საშუალებას აძლევს გამოხატოს უკმაყოფილება საჩივრის გზით, რომელსაც განიხილავს დავების საბჭო.

თუ გადავხედავთ მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვებს, მარტივად შევამჩნევთ, რომ იგი არ არის ორიენტირებული მხოლოდ ერთი რომლიმე პროდუქტისა თუ მომსახურების შესყიდვაზე. ძალიან მრავალფეროვანია მისი არეალი, რაც კიდევ ერთი საშუალებაა კონკურენციის ხელშეწყობისთვის. თუნდაც ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ შესყიდული ერთი და იგივე დანიშნულების პროდუქციის მიწოდება ოდნავი დიფერენციაციით შეუძლია სხვადასხვა კომპანიას, გვადლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ სისტემა ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას.

- **ინოვაციების მხარდაჭერა** - სახელმწიფო შესყიდვების სისტემას შეუძლია მხარი დაუჭიროს ინოვაციურ ბიზნესს რამდენიმე მიმართულებით: მას შეუძლია სტიმული მისცეს ინოვაციებს ინოვაციური პროდუქტის ან მომსახურების მოთხოვნის შექმნით, რაც მსგავსი სახის ფირმებს საშუალებას მისცემს დაძლიონ რეკლამირების ბარიერები სახელმწიფო დაწესებულებებთან ხელშეკრულებების გაფორმების გზით, შესაბამისად, არ გაზარდონ პროდუქტის ფასი (რაც თან ახლავს ინოვაციური პროდუქტების შექმნას) და გახდნენ კონკურენტუნარიანები თავისი მსგავსი საქონლისა თუ მომსახურების ბაზარზე.

ტექნოლოგიების განვითარებასთან და სახელმწიფო დაწესებულებების კვლევითი ფუნქციების ზრდასთან ერთად იზრდება ინოვაციური პროდუქტების შესყიდვაზე მოთხოვნილებებიც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა შემსყიდველს შესთავაზოს ალტერნატიული წინადადება. ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ არ იცის რაიმე ინოვაციის არსებობის შესახებ და მოთხოვნილი აქვს, მაგალითად, რაიმე მომსახურების შესყიდვა სტანდარტული მეთოდით. ამ შემთხვევაში დაინტერესებულ კომპანიას შეუძლია შესთავაზოს მას ალტერნატიული წინადადება, რომელიც რაიმე მიმართულებით გაუმჯობესებული იქნება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილთან შედარებით (მაგალითად, დროის შემცირება, გასხვაგვარი

მეთოდისა და ა.შ.), თუმცა საბოლოო ჯამში, შემსყიდველი მიიღებს იმას, რაც თავდაპირველად სურდა, უბრალოდ უფრო ინოვაციური მიდგომით, რაც სავარაუდოდ ამცირებს მიმწოდებლისა და შემსყიდველის სხვადასხვა სახის დანახარჯებს.

ამის მიუხედავად, სახელმწიფო შესყიდვების გავლენა ინოვაციების ბაზარზე ჯერ კიდევ არასაკმარისია, რადგან სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა, მრავალი სახის ცვლილებებისა და რეფორმების მიუხედავად, ჯერ კიდევ ახლად ჩამოყალიბებული სფეროა და ამ საკითხის შესახებ დასკვნების გამოტანაც ჭირს.

- **გამჭვირვალობა/კორუფციასთან ბრძოლა** - სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ჩამოყალიბების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს კორუფციის აღმოფხვრა, რაც საკმაოდ რთულად მისაღწევი შედეგია. ფაქტებით დასტურდება, რომ კორუფცია ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყნებში, მილიონობით ადამიანი ყოველდღიურად ეჯახება კორუფციას საჯარო სამსახურებთან ურთიერთობისას. ბევრ ქვეყანაში ადმინისტრაციული კორუფცია მძიმე ტვირთად აწევს მოქალაქეებისა და კერძო კომპანიების დროსა და სხვა რესურსებს, იწვევს უკმაყოფილებას საჯარო სამსახურებისადმი, ძირს უთხრის ამ ინსტიტუტების მიმართ ნდობას და გზას უკეტავს ბიზნესის განვითარებასა და ინვესტიციების ზრდას. ყველაზე მეტად კი ზარალდება მოსახლეობის ღარიბი და დაუცველი ნაწილი.

მიუხედავად იმისა, რომ კორუფციასთან ბრძოლის მხრივ სახელმწიფო შესყიდვების სისტემას ყველა პრობლემის მოგვარება არ ძალუძს, იგი ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია კორუფციის აღმოსაფხვრელად. საქართველოში მისი ამოქმედებიდან დღემდე გაზრდილია გამჭვირვალობა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში და ნებისმიერ მონაწილეს თუ გარეშე დაინტერესებულ პირს აქვს უფლება ნახოს და გადაამოწმოს მიმდინარე პროცესები ერთიანი ელექტორნული სისტემის მეშვეობით, რომელიც 24 საათიან რეჟიმში ფუნქციონირებს. ვერ ვიტყვით, რომ კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტორნული სისტემა 100 %-იან შედეგს იძლევა, მაგრამ იმის თქმა ნამდვილად შეგვიძლია, რომ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული თითქმის ყველა პროცესი გამჭვირვალეა და კონტროლდება საკანონმდებლო საფუძვლებით, რაც ნებისმიერი სახის დარღვევასთან დაკავშირებით აწესებს გარკვეულწილად მკაცრ საზღვრებს.

არსებობს „კორუფციის აღქმის ინდექსი“, რომელიც შემუშავებულია გლობალური მოძრაობის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ და მოიცავს 13 დამოუკიდებელ კვლევას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ არის გლობალური სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც ხელმძღვანელობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, წარმოადგენს საიმედო რაოდენობრივ მონაცემებს კორუფციისა და გამჭვირვალობის შესახებ, როგორც გლობალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, შეისწავლის კორუფციის გამოვლენის მიზეზებს და სთავაზობს მისი აღმოფხვრის გზებს. საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის ინდექსი 2018 წელს უკვე 26-ედ გამოქვეყნდა. იგი არის მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომელიც თავს უყრის ბოლო ორი წლის მონაცემებს სხვადასხვა წყაროებიდან, განსაზღვრავს კორუფციის აღქმის დონეს საჯარო სექტორში, რანჟირებას უკეთებს ქვეყნებს კორუფციის დონის მიხედვით პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს შორის. ემყარება ექსპერტების მოსაზრებებს საჯარო სექტორში კორუფციის დონის შესახებ. 2012 წლიდან კვლევა ახალი მეთოდოლოგიით ტარდება, რომელიც სხვადასხვა წლის შედეგების შედარების შესაძლებლობას იძლევა. ინდექსი აღწერს ქვეყნის რეიტინგსა და ქულებს, ასევე ჩატარებული კვლევების რაოდენობას ქულის დასადგენად და რანჟირების სანდოობას. რეიტინგი ახდენს ქვეყნების ერთმანეთთან შედარებას. ქულები მიუთითებს კორუფციის აღქმის დონეს საჯარო სექტორში. 2018 წლის კორუფციის აღქმის ინდექსი 180 ქვეყანას აფასებს 0-დან (მაღალი კორუფცია) 100 ქულამდე (დაბალი კორუფცია).

2018 წლის ინდექსის თანახმად, კორუფციის აღქმის დონე ყველაზე დაბალია დანიაში (88 ქულა), ხოლო ყველაზე მაღალი - სომალიში (10 ქულა). იგივე, 2018 წლის მონაცემებით, 180 ქვეყანას შორის 58 ქულით საქართველო იკავებს 41-ე პოზიციას, რაც წინა წელთან შედარებით 5 ერთეულით არის გაუმჯობესებული. 2002 წლიდან 2018 წლამდე მონაცემების მიხედვით, კორუფციის დონის ყველაზე მაღალი დონე საქართველოში ფიქსირდებოდა 2004 წელს, როდესაც იგი იკავებდა 133-ე პოზიციას 180 ქვეყანას შორის. ინდექსის მიხედვით საქართველო პირველ პოზიციაზეა რეგიონის (აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია) 19 ქვეყანას შორის, თუმცა რეგიონში ინდექსის საშუალო ქულაა 35, ხოლო მსოფლიო საშუალო ქულაა 43.

2018 წლის ინდექსში საქართველოს ქულა შემდეგ კვლევებს ემყარება: ბერტელსმანის ფონდის ტრანსფორმაციის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მენეჯერთა აზრის კვლევა, მსოფლიო სამართლის პროექტის კანონის უზენაესობის

ინდექსი, „გლობალ ინსაითის“ ქვეყნების რისკის რეიტინგი, „ფრიდომ ჰაუსის“ ტრანზიციული ქვეყნების კვლევა, პროექტი „დემოკრატიის ვარიაციები“.³

- **არადისკრიმინაციულობა** - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთ-ერთ მეთოდოლოგიურ მითითებაში ნათქვამია: „შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლების მიმართ წაყენებული ტექნიკური და კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნები ემსახურება ა) მიმწოდებლების ტექნიკური ცოდნის/გამოცდილების, ბ) ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების და გ) სანდოობის შეფასების მიზანს. საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების წაყენებით ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია ხორციელდება იმისათვის, რათა მოთხოვნები არ განისაზღვროს შაბლონურად. სწორედ შაბლონურად განსაზღვრული მოთხოვნები წარმოადგენს ტენდერში მონაწილეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბარიერს. ამასთან, ყოველი ცალკეული მოთხოვნის წაყენებისას, კონკურენციის მაქსიმალური დონის უზრუნველყოფისათვის, აუცილებელია, დაცული იქნეს ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, რაც გულისხმობს კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოთხოვნების, შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის, მოცულობის და მიწოდების ვადის გათვალისწინებით, შესყიდვის ობიექტთან მიმართებით პირდაპირ და პროპორციულად განსაზღვრას. გადაჭარბებულად განსაზღვრული საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები მნიშვნელოვნად ზღუდავს კონკურენციას. ამასთან, არაპროპორციულად მაღალი მოთხოვნებით, ტენდერში მონაწილეობისგან, პირველ ყოვლისა, მცირე და საშუალო ბიზნესი იზღუდება. მაგალითად, არაპროპორციულად მაღალი ბრუნვის მოთხოვნის შემთხვევაში ტენდერში მონაწილეობისგან შესაძლებელია შეიზღუდოს მცირე ზომის მიმწოდებელი, რომელსაც, შესაძლებელია ჰქონდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო ზოგადი შესაძლებლობები.“⁴

- **სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვა** - ქვეყანაში აუცილებელია ჩამოყალიბდეს რაციონალურად მომუშავე საბიუჯეტო სისტემის მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს მიზნობრიობისა და შედეგიანობის ზრდას. საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა დღეს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა. ბიუჯეტის

³ მონაცემები აღებულია საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს კვლევიდან - <https://www.transparency.ge/ge>

⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მეთოდური მითითებები მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ხელშეწყობისათვის, გვ. 10

ფორმირების ერთ-ერთ უდიდეს წყაროს საგადასახადო შემოსავლები წარმოადგენს. სწორედ იმის გამო, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის ფულადი სახსრები, რასაც ის სახელმწიფო ბიუჯეტში „აბანდებს“ სხვადასხვა სახის გადასახადის გადახდით, სახელმწიფო პასუხისმგებელია ბიუჯეტის რაციონალური და კარგად დაგეგმილი ხარჯვა უზრუნველყოს და გააკონტროლოს ყველა საჯარო დაწესებულება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტს მოიხმარს. ამის ერთ-ერთი საშუალებაა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის კარგად განვითარებული და საქართველოს რეალობაზე მორგებული პრაქტიკის ჩამოყალიბება.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ერთ-ერთი კარგად ფუნქციონირებადი ნაწილია კონსოლიდირებული ტენდერები. კონსოლიდირებულ ტენდერს აცხადებს თავად „სახელმწიფო“ (ჩვენს შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო). ეს იმას ნიშნავს, რომ იგი განსაზღვრავს რაიმე კონკრეტული შესყიდვის ობიექტის (პირობითად პრინტერის) მახასიათებლებს, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს მთლიანად საბიუჯეტო სახსრებით ფუნქციონირებადი ყველა დაწესებულება. ეს გამორიცხავს, სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას, მხოლოდ რომელიმე კონკრეტული დაწესებულების ან პირის სურვილის მიხედვით შეიძინოს ძვირადღირებული ნივთი. თუ არსებობს მოთხოვნილება კონსოლიდირებულ ტენდერში მოცემულ საქონელზე განსხვავებული პარამეტრების, მაგრამ მსგავსი ფუნქციის ობიექტის შესყიდვაზე, ამასთან დაკავშირებით არსებობს რეგულაცია და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეუთანხმებლად ვერცერთი სახელმწიფო დაწესებულება ვერ შეძლებს აღნიშნული ნივთის შეძენას დასაბუთების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ კონსოლიდირებული ტენდერები, გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლოა მცირე და საშუალო მეწარმეთა განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად აღვიქვათ, მანამდე, სანამ უკეთესი პრაქტიკა ჩამოყალიბდება, აღნიშნული ტენდერების გამოცხადება საუკეთესო გამოსავალია ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის შესამცირებლად.

§1.3. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის სტრატეგია და მისი

გამტარებლები

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №170 დადგენილებით „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით: „ფუნდამენტური ანტიკორუფციული რეფორმების შედეგად, დღეს საქართველო, ევროპის ქვეყნებს შორის, კორუფციის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა, ხოლო, ანტიკორუფციული პოლიტიკის თვალსაჩინო წარმატება არაერთი საერთაშორისო კვლევით არის დადასტურებული. საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება იყოს ერთჯერადი რეფორმა ან დროში შეზღუდული პროცესი და საჭიროებს მუდმივ და განგრძობად ძალისხმევას კეთილსინდისიერი და ანგარიშვალდებული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის. მიღწეული შედეგების გათვალისწინებით, საქართველო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ, კიდევ უფრო თანამედროვე ეტაპზე გადავიდა - ისევე, როგორც ევროპის სხვა დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის, საქართველოსთვისაც მთავარი ორიენტირია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი დონის მიღწევა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მოქალაქეთა ჩართულობის კიდევ მეტად გაზრდა, კორუფციის პრევენციის მექანიზმების კიდევ უფრო დახვეწა და სახელმწიფო მმართველობაში ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კიდევ უფრო მაღალი ხარისხით გამოყენება. ამასთან, საქართველოს მთავრობის ხედვით, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა კორუფციის პრევენციისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში იდენტიფიცირებული გამოწვევების ეფექტიანი გადაჭრისა და კორუფციული რისკების შემცირებისაკენ უნდა იყოს მიმართული. ამიტომაც, ახალ გამოწვევებთან ბრძოლის, მიღწეული შედეგების გაღრმავების, არსებული მექანიზმების შემდგომი დახვეწისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბების გაფართოების მიზნით, 2013 წლის 25 იანვარს, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, 2010 წელს დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებისა და 2010-2013 წლების სამოქმედო გეგმის ვადის ამოწურვის შემდგომ, ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ, 2015-2016 წლებისათვის. განახლებული ანტიკორუფციული სტრატეგია და ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს 2015 წლის 4 თებერვლის სხდომაზე დამტკიცდა, ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს (OECD, GRECO, UNODC), ასევე, წინა სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების შეფასებასა და არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების ანალიზს.⁵

სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ექვსი უმთავრესი სტრატეგია:

1. ინოვაციურობის, მწვანე ეკონომიკისა და სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა - სახელმწიფო შესყიდვების 55%-ს შესყიდვის კრიტერიუმად უდევს ყველაზე დაბალი ფასის ქონა, რაც იმაზე მიაჩნდება, რომ სახელმწიფო შემსყიდველები სავარაუდოდ ხარისხზე, გამძლეობასა და ინოვაციურობაზე დიდ ყურადღებას არ ამახვილებენ. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი სტრატეგიაა ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარება ინოვაციურობისა და ხარისხის წახალისების გზით.

2. პროფესიონალი სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტების არსებობა - სახელმწიფო შემსყიდველებს ხშირად არ აქვთ ბიზნეს უნარ-ჩვევები, ტექნიკური ცოდნა ან სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კარგი აღქმის უნარი. ამან შესაძლოა მიგვიყვანოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი წესების მოუქნელობასთან და ჰქონდეს უარყოფითი გავლენა მეწარმეებსა და გადასახადების გადამხდელებზე. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მართალია არასაკმარისია, მაგრამ საქართველოში ასრულებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კურსი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც შემსყიდველს გარკვეულწილად წარმოადგენას უქმნის პროცედურულ საკითხებზე, თუმცა პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, თითქმის შეუძლებელია მხოლოდ თეორიული საფუძვლებით შემსყიდველმა შეძლოს და სწორად, სამართლიანად და კანონის ყველა ნორმის დაცვით წარმართოს შესყიდვის პროცედურები.

3. ხელმისაწვდომობის ზრდა - დღესდღეობით, მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წილი მხოლოდ 45 პროცენტია. სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად უნდა შეეწყოს ხელი ამ სტატისტიკის ზრდას, რათა უფრო მეტად განვითარდეს ქვეყანაში ბიზნესგარემო და მოიხსნას ბაზარზე შესვლის ზოგიერთი ბარიერი მაინც.

⁵ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N170 დადგენილება, ქ. თბილისი

4. გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მონაცემების გაუმჯობესება - უკეთესი კვლევებისა და ანალიზის ჩასატარებლად აუცილებელია სანდო მონაცემების არსებობა. ეს შესაძლებელს გახდის კარგად გაანალიზდეს სახელმწიფო შესყიდვების მოქმედების არეალი, შესაძლებლობები და ფუნქციონირების გამართულობა, შესამისად, საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ლაფსუსები და ვეცადოთ მათ აღმოფხვრას.

5. სახელმწიფო შესყიდვების გაციფრულება - სახელმწიფო შესყიდვების გაციფრულება ნელი პროცესია. 2016 წელს ციფრულ სახელმწიფო შესყიდვებს იყენებდნენ მხოლოდ ევროპის გაერთიანების ქვეყნები. საქართველო ციფრულ შესყიდვების პრაქტიკაზე გადავიდა 2010 წელს, თუმცა ეს არ არის შესაძლებლობების პიკი, არსებობს დეტალები, რომელთა დახვეწაც გააუმჯობესებდა სახელმწიფო შესყიდვების ფუნქციონირებას საქართველოში.

6. თანამშრომლობისა და ერთიანი შესყიდვების წილის ზრდა - შემსყიდველი ორგანიზაციები ძალიან იშვიათად ახორციელებენ ერთობლივ შესყიდვებს, სახელმწიფო შესყიდვების მხოლოდ 11% წარმართება შემსყიდველთა თანამშრომლობით. აღნიშნული საკითხის განვითარება და ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან გაერთიანებული შესყიდვის დროს წარმოიქმნება მასშტაბის ეფექტურობა, რაც ხელს უწყობს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვას.

სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის გამტარებლები

საერთაშორისო პრაქტიკაში სახელმწიფო შესყიდვების სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თუმცა მათ გააჩნიათ საერთო ნიშნები, რაც უმეტესად ეხება ზოგად პრინციპებსა და გამოყენებულ მეთოდებს. ასევე განსხვავდება თითოეულ ქვეყანაში შესყიდვების ცენტრალიზაციის დონე და ადმინისტრირების ხარისხი. ამასთან ყველა ქვეყანაში არსებობს ერთი სამთავრობო უწყება მაინც (სააგენტოს, დეპარტამენტის, სამსახურის ან სხვა სახით), რომელიც ქვეყნის მასშტაბით არეგულირებს და საერთო კოორდინაციას უწევს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკას. უმეტესად ამავე ორგანოს მოვალეობას შეადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე მონიტორინგი და დადებული ხელშეკრულებების ადმინისტრირება, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული მაკონტროლებელი ორგანოების და/ან აუდიტორების უფლებამოსილება შეზღუდულია.

რიგ ქვეყნებში დამატებით შექმნილია სპეციალური სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც სახელმწიფო მართვის ორგანოებიდან და ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან მიღებული დაკვეთების საფუძველზე ცენტრალიზებულად ახორციელებენ სტანდარტული საქონლისა და მომსახურების ტენდერების გზით შესყიდვას და შემდგომ ამარაგებენ შესაბამის ორგანიზაციებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ყველა სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციაში ფუნქციონირებს სახელმწიფო შესყიდვების სამსახურები (მაგ. სამინისტროებში – დეპარტამენტებისა და სამსახურების სახით), რომლებიც ამ სახელმწიფო უწყებებისთვის აწარმოებენ სპეციფიკური საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების შესყიდვას. ცხადია, ერთის მხრივ, ამ პრობლემში იხსნება პროკურმენტის პროფესიონალური კადრების დასპეციალების პრობლემა შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის და მსხვილი შესყიდვების ტენდერების მეშვეობით განხორციელებით იაფდება ერთეულ პროდუქტზე დანახარჯები, მაგრამ იმავდროულად აღნიშნული მოითხოვს მაღალ ორგანიზებულობასა და დიდ მმართველობით ხარჯებს. ქვეყანათა უმეტესობაში ფუნქციონირებს შესყიდვების კადრების მომზადებისა და გადამზადების ცენტრები, აგრეთვე საკონსულტაციო ბიუროები, ზოგჯერ საკონსულტაციო-მეთოდური ცენტრები. ასევე რეგულარულად ხდება ერთი სპეციალიზებული ყოველკვირეული გაზეთის გამოცემა მაინც, სადაც ქვეყნდება განცხადებები მოსალოდნელ შესყიდვებთან დაკავშირებით, ხოლო პერიოდულ ბიულეტენებში წარმოებს შესყიდვების გარემოს შესახებ მიმოხილვების, ანგარიშების და სხვა ინფორმაციული მასალების განთავსება. სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შემდგომი განვითარებისთვის უდიდეს ტექნიკურ რესურსს წარმოადგენს გლობალური ქსელების (ინტერნეტი) მეშვეობით ინფორმაციის ურთერთგაცვლა, აგრეთვე ელექტრონული ვაჭრობის წარმოებაც. თუმცა კომერციული ფორმებისაგან განსხვავებით, სახელმწიფო კონტრაქტების დადება ხასიათდება მნიშვნელოვანი პროცედურული შეზღუდვებით და ფორმალური წესებით.⁶

საქართველოში არსებობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ძირითადი გამტარებელია. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში კოორდინაციასა და მონიტორინგს უწევს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას. სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი

⁶ ხომერიკი თემურ, კონკურენტული რეგულირების პრაქტიკა საერთაშორისო პროკურმენტში, საქართველოს ეკონომიკა, № (178) 2013, გვ. 65-66

საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი და მის შესაბამისად შემუშავებული სააგენტოს დებულება. სააგენტოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. სააგენტოს სტრუქტურასა და დებულებას ამტკიცებს და მის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.⁷

სააგენტოს მიზნებია:

- სახელმწიფო საჭიროებისთვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოების შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება;

სააგენტოს ფუნქციებია:

- სახელმწიფო შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა;
- სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება;
- სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის სისტემური შესწავლა, ანალიზი და საქართველოს მთავრობისათვის შესაბამისი წინადადების წარდგენა;

სააგენტოს უფლებამოსილებებია:

- გააკონტროლოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა;

⁷ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სააგენტოს შესახებ, ფუნქციები

- კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი ნორმების დარღვევის ან მათი არასწორი გამოყენებისას, სახელმწიფო შესყიდვებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების არარაციონალური ხარჯვის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, მიუთითოს ამ ფაქტებზე შემსყიდველს ორგანიზაციებს და მოითხოვოს მათგან არასწორი გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით მოახდინოს შესაბამისი რეაგირება სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ფაქტებზე;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოების წინაშე დასვას სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე პირების პასუხისმგებლობის საკითხი.⁸

სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ინსტრუმენტები

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სწორად და გამჭვირვალედ ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს კანონმდებლობა და ის სამართლებრივი აქტები თუ დებულებები, რომლის მეშვეობითაც რეგულირდება ურთიერთობები შემსყიდველ (სახელმწიფო სტრუქტურები) და მიმწოდებელ (კერძო კომპანიები) ორგანიზაციებს შორის. სამართლებრივ აქტებში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე კერძო კომპანიების უფლება-მოვალეობები, რაც შემდგომში მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველი გახდება. ხელშეკრულებები კი თავის თავში არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ მიდგომებს პროცესში მონაწილე რომელიმე სუბიექტის მიმართ. პირველი კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოში მიღებული იქნა 1998 წლის 9 დეკემბერს, რომლის ძირითად მიზანს და ამოცანებს წარმოადგენდა: საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებლი შესყიდვების პროცესის დარეგულირება, გამჭვირვალე კონკურენტული გარემოს ფორმირება და სახელმწიფო სახსრებთან კერძო კომპანიების ხემისაწვდომობა კანონიერი გზით,

⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სააგენტოს შესახებ, ფუნქციები

კანონის აღნიშნულ რედაქციაში დასახელებული პრიორიტეტები საკმაოდ მკაფიოდ იქნა განსაზღვრული, მაგრამ სათანადო დონეზე მათი განხორციელება ვერ მოხერხდა სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. უმთავრეს შემთავრებულ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს კორუფციის მაღალი რისკი სახელმწიფოს მმართველობის ყველა დონეზე, რაც, ბუნებრივია, პირდაპირპროპორციულად აისახებოდა შესყიდვების პროცესის, როგორც გამჭვირვალობაზე, ასევე საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვაზე. სწორედ მოცემული გარემოებები გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ სფეროში მომდევნო წლებშიც გაგრძელდა რეფორმები შესყიდვების პროცესის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, რეფორმების პირველი ეტაპი დაიწყო 2001 წელს. შესყიდვების სააგენტომ მსოფლიო ბანკთან ერთად განახორციელა რეფორმა, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობის დახვეწა და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, მსოფლიო ბანკთან ერთად განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები, რომელიც მიზნად ისახავდა შესყიდვების სისტემის პროცესში მონაწილე პირების ცნობიერების ამაღლებას.⁹

რეფორმების შემდგომი, მეორე ეტაპი დაიწყო 2005 წელს, რაც, ისევ და ისევ, მიმართული იყო შესყიდვების პროცესის გაუმჯობესებისკენ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევისკენ. რეფორმების მესამე ეტაპი 2010 წელს დაიწყო, რაც გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვების დიჯიტალიზაციას. სწორედ 2010 წელს საქართველოში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები გახდა მთლიანად ელექტრონული სახის, რამაც გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მეტი შესაძლებლობა წარმოშვა, რაც კონკურენტული გარემოს ფორმირების ერთ-ერთ ინსტრუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ.

რეფორმებს, რა თქმა უნდა, უარყოფითი შედეგებიც ახლდა თან. ხშირად შემსყიდველი ორგანიზაციები ვერ ახერხებდნენ ელექტრონული შესყიდვის პროცედურების საშუალებით მიეღოთ ხარისხიანი პროდუქცია, რადგან მათ „ჩამოერთვათ“ არჩევანის უფლება. ეს ფუნცია გადაეცა ელექტრონულ პლატფორმას, რომელიც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოავლენდა კომპანიას მხოლოდ ფასის მიხედვით. ბუნებრივია, დაბალ ფასიანი საქონლის შესყიდვამ დადებითი ეფექტი

⁹ გაფრინდაშვილი გიორგი, შესყიდვების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, თბილისი, 2015 წელი, გვ. 5-6

იქონია საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვაზე, თუმცა უარყოფითად იმოქმედა შესყიდული საქონლისა და მომსახურების ხარისხზე.

ზემოთ აღნიშული პრობლემა დროთა განმავლობაში არც ისეთ დიდ პრობლემად დარჩა, რადგან სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულმა შესყიდვების სპეციალისტებმა პრაქტიკიდან გამომდინარე კარგად შეისწავლეს მოქმედების შესაძლებლობების ფართო არეალი და ისწავლეს თუ როგორ გამოეყენებინათ კანონი თავიანთ სასარგებლოდ.

დღესდღეობით არსებული სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის მრავალრიცხოვანი ინსტრუმენტებიდან გამოვყოფ საქართველოს კანონს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც:

- ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს;

- ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 19¹ მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხას და შესყიდვების განხორციელების წესს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

- ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ სახელმწიფო შესყიდვებზე:

ა) „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასთან და ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშგების გარე აუდიტის განსახორციელებლად აუდიტორული ფირმის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტიდან გამომდინარე შესყიდვები, გარდა არამატერიალურ აქტივებთან, ოქროს ზოდებთან, საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილ ლარის ბანკნოტებსა

და მონეტებთან, აგრეთვე ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებისა, რეგულირდება ამ კანონით;

ბ) იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად;

გ) ელექტროენერჯის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე;

დ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე;

ე) საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერმინისტრის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ან/და ქ. თბილისის მერის შეხვედრებისა და ვიზიტების, საქართველოს პარლამენტში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე;

ვ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ხელშეკრულებითა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;

ზ) საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, თუ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე–147-ე მუხლების შესაბამისად;

ი) უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასთან, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.

კ) ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განაღდებისა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე; ლ) შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;

ლ) სოციალური რეკლამის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის, ვებგვერდითა და სოციალური ქსელით, გავრცელებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე (გარდა ტელერადიოეთერის დროის შესყიდვასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვისა, რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 661 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობებით);

მ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ტელე-, რადიო-, ასევე ვებგვერდისა და სოციალური ქსელისათვის განკუთვნილი პროდუქციის (პროგრამა, გადაცემა, ფილმი, სპექტაკლი, სერიალი, რეპორტაჟი, კულტურული ღონისძიება) ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელერადიოპროდუქციის გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე (გარდა ტელერადიოპროდუქციის შესაქმნელად ან/და მაუწყებლობისათვის საჭირო საქონლისა და სამშენებლო სამუშაოს, აგრეთვე ამ ქვეპუნქტით გაუთვალისწინებელი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვისა);

ნ) სუვერენული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურებისა და სახელმწიფო ფასიან ქალაქებთან დაკავშირებული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების შესყიდვებზე, აგრეთვე აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლისათვის საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების თანმდევი ხარჯების ანაზღაურებაზე;

ო) „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის ან აგენტის მიერ ლატარიის ბილეთის შენახვის, სარეალიზაციო ან/და ლატარიის ორგანიზატორის სარეკლამო საქონლის უსასყიდლო გავრცელებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

პ) „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ აღნიშნულ საწარმოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების მქონე პირისაგან მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

ჟ) „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ ლატარიის ორგანიზებისათვის ან/და ჩატარებისათვის საჭირო ინფორმაციული და ტექნოლოგიური მხარდაჭერის სახელმწიფო შესყიდვაზე;

რ) შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზაციის მიზნით შეძენილი საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე;

ს) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე; (პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი არაკონსტიტუციურად იქნეს ცნობილი. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი 2020 წლის 1 მაისიდან) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/655 – ვებგვერდი, 23.04.2019წ.

ტ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;

უ) „საქართველოს მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის განსაკუთრებით საშიში პათოგენების აღმოჩენის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის და რეაგირების ერთიანი ლაბორატორიული სისტემისა და საქართველოს რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯებისა და პასუხისმგებლობების გადაცემის შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად ერთიანი ლაბორატორიული სისტემისათვის განკუთვნილ იმ საქონლის სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლის ჩამონათვალიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

ფ) „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვებზე;

ქ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს მიერ საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებასთან, აგრეთვე საპენსიო სააგენტოს მიერ სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიის და საპენსიო სააგენტოს ანგარიშგების დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად აუდიტორული ფირმის მომსახურებასთან დაკავშირებულ შესყიდვებზე.¹⁰

კანონის მიზანია:

- სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.¹¹

სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტებია:

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ (განახლებულია 19.03.2018).
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“. (განახლებულია 19.03.2018).
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“ (განახლებულია 13.09.2017).
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 8 თებერვლის №1 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვებთან

¹⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, თავი I, მუხლი 3¹

¹¹ საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, თავი I, მუხლი 2

დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი“ (განახლებულია 8.02.2018).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“ (განახლებულია 26.03.2018).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესი და პირობები“ (განახლებულია 30.08.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობები“ (განახლებულია 19.03.2018).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 მაისის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მომხმარებლის რეგისტრაციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენების წესი“ (განახლებულია 13.09.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“ (განახლებულია 19.03.2018).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 25 დეკემბრის №27 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგია“ (განახლებულია 19.03.2018).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის №15 ბრძანებით დამტკიცებული „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესი“ (განახლებულია 24.03.2016).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“ (განახლებულია 13.09.2016).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ (განახლებულია 13.09.2017).

- კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2012 წლის 26 დეკემბრის №18 ბრძანებით დამტკიცებული „ფიჭური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ (განახლებულია 13.09.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის №2 ბრძანებით დამტკიცებული „A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“ (განახლებულია 13.09.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის №12 ბრძანება „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ (განახლებულია 13.09.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული „საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“ (განახლებულია 13.09.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 მარტის №8 ბრძანებით დამტკიცებული „ვიდეოსამეთვალყურეო კამერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“. (განახლებულია 13.09.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 30 მარტის №9 ბრძანებით დამტკიცებული „უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“ (განახლებულია 13.09.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 აპრილის №10 ბრძანებით დამტკიცებული „სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების წესი და პირობები“. (განახლების თარიღი 13.09.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 12 ივლისის №32 ბრძანებით დამტკიცებული „სატელევიზიო საეთერო დროის (wGRP) შესყიდვის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები“ (განახლებულია 13.07.2017).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 25 აგვისტოს №33 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების, შენახვის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი“ (განახლებულია 30.08.2017).

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1595–1599 მუხლები (განახლებულია 2.02.2015).

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლი (განახლებულია 17.01.2018).

- საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილება „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით“ (განახლებულია 2.09.2015).

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ (განახლებულია 23.04.2018).

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვარის № 55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესი“ (განახლებულია 21.02.2017).

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №604 დადგენილება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ (განახლებულია 25.05.2018).

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №321 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხა და შესყიდვების განხორციელების წესი“ (განახლებულია 10.02.2017).

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბრის №439 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდის“ (განახლებულია 12.10.2017).

- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის №1805 განკარგულება „საკომუნუკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ (განახლებულია 19.02.2015).

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 აპრილის №306 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში

რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“ (განახლებულია 17.01.2018).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №21. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე (განახლებულია 17.01.2018).

- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №22 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში თანამდებობების დასაკავებლად საჭირო დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე (განახლებულია 27.11.2015).

თავი 2. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის

განხორციელების თავისებურებები ვიშეგრადის ქვეყნებში.

ტერმინი - „ვიშეგრადის ჯგუფი“ აღნიშნავს ცენტრალური ევროპის ოთხი ქვეყნის: ჩეხეთის, პოლონეთის, სლოვაკეთისა და უნგრეთის ალიანსს. ქვეყანათა თანამშრომლობის ამ ფორმის მიზანი რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება და ევროინტეგრაციის პროცესების გაძლიერებაა. სუბრეგიონალურმა თანამშრომლობამ, რომელსაც საფუძველი 1991 წლის 15 თებერვალს უნგრეთის ქალაქ ვიშეგრადში, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ვაცლავ ჰაველის ინიციატივით ჩაეყარა, ევროკავშირთან ინტეგრაციის წარმატებული მაგალითი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ვიშეგრადის ჯგუფს არ აქვს თავისი მუშაობის ისეთი ჩამოყალიბებული სტრუქტურა, როგორც ეს სხვა რეგიონალური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების შემთხვევაშია, და არ აქვს მუდმივი სამდივნო და არ ჰყავს თანამშრომლები, იგი ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან იქცა წარმატებული რეგიონალური თანამშრომლობის სიმბოლოდ. ვიშეგრადის ქვეყნების ჯგუფის თანამშრომლობის ეს ფორმა არ წარმოადგენს ევროკავშირის რეგიონალური გაერთიანების ალტერნატივას. იგი სწორედ ევროკავშირის მიერ არის მხრდაჭერილი, როგორც სუბრეგიონალური თანამშრომლობის ეფექტიანი სტრუქტურა. ვიშეგრადის ქვეყნების თანამშრომლობა ხელს უწყობს საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებას და ეკონომიკურ განვითარებას მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით.¹²

ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის განხილვა მნიშვნელოვანია, რადგან აღნიშნულ ჯგუფში შემავალი ქვეყნების ისტორიული წარსული და ეკონომიკური მდგომარეობა მიახლოებულია საქართველოსთან. თავდაპირველად ჯგუფს ვიშეგრადის „ტროიკა“ ერქვა, ხოლო მას შემდეგ, რაც 1993 წელს ჩეხეთი და სლოვაკეთი ცალკე სახელმწიფოები გახდნენ, იგი ოთხეულად გადაიქცა. ჯგუფს სახელი დაერქვა ჩრდილოეთ უნგრული ქალაქის ვიშეგრადის სახელით, სადაც 1991 წლის 15 თებერვალს ერთმანეთს სამი ქვეყნის პრეზიდენტები შეხვდნენ: ჩეხოსლოვაკიის - ვაცლავ ჰაველი, უნგრეთის - არპად გიონზი და პოლონეთის - ლეჰ ვალენსა. ამ შეხვედრაზე მხარეებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას ევროპული ინტეგრაციისაკენ მიმავალ გზაზე სამ ქვეყანას შორის (დღეს უკვე ოთხი) ახლო თანამშრომლობის შესახებ. კომუნისტური

¹² ასოცირებული პროფესორი ევა ლეკაშვილი, დოქტორანტი გიორგი ყუფარაძე, დოქტორანტი ნანა მასისურაძე, ლექციების კურსი - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე, გვ. 3.

რეჟიმის მსხვერვის შემდეგ, მათი თანამშრომლობა მნიშვნელოვანი იყო ტოტალიტარული რეჟიმიდან თავისუფალ, პლურალისტურ და დემოკრატიულ საზოგადოებაზე გადასვლის გზაზე. ჯგუფის წევრი ქვეყნები ცენტრალურ ევროპაში მდებარეობენ და ერთი ცივილიზაციის ნაწილნი არიან. იზიარებენ საერთო კულტურულ და ინტელექტუალურ ღირებულებებს და საერთო რელიგიური ტრადიციები აქვთ. ოთხივე სახელმწიფოს სურვილია ევროკავშირში გაწევრიანება. ჯგუფის წევრების განცხადებით, მათი ჯგუფი არ არის საერთო ევროპული ინტეგრაციის ალტერნატივა და სხვა ცენტრალურ ევროპულ სტრუქტურებს არ უპირისპირდება. პირიქით, ჯგუფის მიზანია ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით უშუალო მეზობლებთან, მაქსიმალური თანამშრომლობა. ჯგუფს სურს წვლილი შეიტანოს ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნაში. ჯგუფის ყველა საქმიანობა მიმართულია ცენტრალური ევროპის რეგიონში სტაბილურობის გამყარებაზე და ევროკავშირში მათი გაწევრიანების პროცესის დააჩქარებაზე.¹³

2004 წელს ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირში შესვლა დაკავშირებული იყო გარკვეულ ხარჯებსა და სარგებელთან. ძირითადი სარგებელი მდგომარეობდა შემდეგში:

- შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა ევროკავშირის გლობალურ ბაზარზე;
- გაუმჯობესებული საინვესტიციო გარემო და დაბალი რისკი. ევროკავშირის წევრობა ვიშეგრადის ქვეყნებს უფრო მიმზიდველს გახდიდა, ეკონომიკური პერსპექტივის და საინვესტიციო რისკის თვალსაზრისით;
- ვიშეგრადის ქვეყნების მოქალაქეებისათვის ევროკავშირის შრომის ბაზრის გახსნა; შეუზღუდავი შრომითი მობილურობა დადებით გავლენას მოახდენდა ვიშეგრადის ქვეყნების შრომის ბაზრებზე, რაკი ხელს შეუწყობდა შრომით მიგრაციას და შეამცირებდა უმუშევრობას;
- ხელმისაწვდომობა ტრანსფერებზე ევროკავშირის სტრუქტურული და დაახლოების ფონდებიდან.

მნიშვნელოვანი განსხვავება ვიშეგრადის ცალკეულ ქვეყნებს შორის უკავშირდება მათ პრესოციალისტურ ეკონომიკურ განვითარებას. უნგრეთის, სლოვაკეთის და პოლონეთის ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირთან ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. საპირისპიროდ, ჩეხეთი ტრადიციულად დასავლეთ ევროპასთან ეკონომიკურ ურთიერთობაზე იყო ორიენტირებული. ვიშეგრადის ქვეყნები

¹³ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - ვიშეგრადის ჯგუფი

იყვნენ გარდამავალი ეკონომიკის ყველაზე განვითარებული ქვეყნები და გაცილებით უკეთესი საწყისი პოზიცია ჰქონდათ. ვიშეგრადის ყველა ქვეყანამ დაახლოებით ერთი და იგივე დრო - 41- 42 წელი გაატარა კომუნისტურ რეჟიმში.

მას შემდეგ რაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გააცნობიერეს ევროკავშირის წევრი ქვეყნების მნიშვნელობა ვიშეგრადის ქვეყნებისათვის, ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ევროკავშირი ახლა ვიშეგრადის ქვეყნების ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. ვიშეგრადის ქვეყნების გახსნილობა და მათი ვაჭრობის რეორიენტაცია ევროკავშირის მიმართულებით, ხაზს უსვამს ევროკავშირთან ინტეგრაციით მისაღებ შესაძლო სარგებელს.¹⁴

§2.1. ჩეხეთის რესპუბლიკა

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა წარმართებოდა ევროკავშირში მიღებული კონცეფციისგან მკვეთრად განსხვავებულად. 2004 წლის 1 მაისამდე ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდებოდა No 199/1994 აქტით „სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირების შესახებ“, რომელიც თავისი არსებობის განმავლობაში 12-ჯერ დაკორექტირდა. ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის დონის ასამაღლებლად აღნიშნული აქტი ხშირად იყო ევროკავშირის კრიტიკის ობიექტი. აქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვა განისაზღვრებოდა როგორც ორ მხარეს შორის დადებული ხელშეკრულება, სადაც ერთი მხარე იყო შემსყიდველი, ხოლო მეორე მხარე (მიმწოდებელი) შეირჩეოდა შემსყიდველის მიერ. მათ მიერ გაფორმებული ხელშეკრულებაც ექვემდებარებოდა აქტს „სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირების შესახებ“.

ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა ევროკავშირის კანონმდებლობისგან ძირითადად განასხვავებდა შესყიდვის პროცესში მიმწოდებლის გამარჯვებულად გამოვლენის გზით. პროცესი შემდეგნაირად წარმართებოდა: ცხადდებოდა საჯარო/ღია ტენდერი საქონლის ან/და მომსახურების შესყიდვის მიზნით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტი იყო რთულად დასახასიათებელი ან

¹⁴ ასოცირებული პროფესორი ევა ლეკაშვილი, დოქტორანტი გიორგი ყუფარაძე, დოქტორანტი ნანა მაისურაძე, ლექციების კურსი - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე, გვ. 57

რთულად მისაწოდებელი, ცხადდებოდა ორ ეტაპიანი ტენდერი, რომლის პირველი რაუნდი იყო სრულიად გახსნილი და აფასებდა მხოლოდ მონაწილეთა ტექნიკურ შესაძლებლობებსა და გამოცდილებას. აღნიშნულ ეტაპზე ყურადღება არ ექცეოდა მონაწილეთა მიერ წარმოდგენილ განფასებას, უფრო მეტიც, პირველი ეტაპისთვის განფასება საერთოდ არ მოითხოვებოდა. პირველი ეტაპიდან გამოირიცხებოდა ის მიმწოდებელი, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა შემსყიდველის მიერ კომპანიისთვის წარდგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს. საბოლოო ჯამში, შეირჩეოდა რამდენიმე (მინიმუმ სამი) მონაწილე, რომელიც გადადიოდა შესყიდვის პროცედურის შემდგომ ეტაპზე, რომელსაც ჰქონდა დახურული სახელმწიფო შესყიდვის სახე.

კომერციული სატენდერო წინადადების გარდა, მონაწილეებს შეეძლოთ გამარჯვების მოპოვება ოთხი ალტერნატიული გზით:

- შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვეოდა შეზღუდული რაოდენობის აპლიკანტები. ზოგადად საკონკურსო წინადადებების წარდგენაში მონაწილეობა უნდა მიეღო არანაკლებ 5 კონტრაქტორს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამომავლო ვალდებულების მონეტარული ღირებულება აღემატებოდა 5 მილიონ ჩეხურ კრონას (გადასახადების გამოკლებით). ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხდებოდა უძრავი ქონებისა და მანქანა-დანადგარების ერთობლივი შესყიდვა რაიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად (მაგალითად, არმიისთვის ბაზის შესაქმნელად). სხვა შემთხვევაში, მაგალითად სახემწიფო საიდუმლოების შემცველი შესყიდვის შემთხვევაში, ეს მონეტარული ბარიერი შესაძლოა დაწეულიყო 2.5 მილიონ ჩეხურ კრონამდეც კი.

- არსებობდა გამარჯვებულის გამოვლენის გამარტივებული პროცედურაც, როდესაც იდებოდა 2 მილიონ კრონაზე მეტი ღირებულების ობიექტის/მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. ზემოაღნიშნული შემთხვევისგან განსხვავებით, შესყიდვაში მონაწილეობისთვის მოიწვეოდა არანაკლებ 3 მონაწილე.

- მცირე მოცულობის შესყიდვად ითვლებოდა შესყიდვა, რომელიც არ აჭარბებდა 2 მილიონ კრონას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება იდებოდა შეთავაზებული ფასების მიხედვით,

- იურიდიულად გამართულ განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელი იყო კონკრეტული შესყიდვისთვის მოწვეული ყოფილიყო მხოლოდ ერთი მიმწოდებელი ინდივიდუალური მოლაპარაკებებისთვის. ასეთი შემთხვევებია:

- გადაუდებელი აუცილებლობა, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლის/ჯანმრთელობის დაზიანების რისკებთან ან დიდი მასშტაბის მოსალოდნელ ზარალთან;
- ბუნებრივი კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციისთვის;
- ისეთი შესყიდვის შემთხვევაში, რომლის მიწოდებაც ქვეყნის ფარგლებში მხოლოდ ერთ მიმწოდებელს შეუძლია;
- არსებული შესყიდვის საფუძველზე დამატებითი შესყიდვის განხორციელება, რომლის ღირებულებაც არ აღემატება წინა შესყიდვის 20%-ს.

მიუხედავად ცვლილებებისა, საჭირო იყო არსებული No 199/1994 აქტის „სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირების შესახებ“ სრულიად ახალი აქტი ჩანაცვლება, რადგან მთელი რიგი ცვლილებების შემდეგ, იგი მაინც არ შეესაბამებოდა სრულად ევროკავშირის რეკომენდაციებს. ამიტომაც მიღებულ იქნა ახალი No 40/2004 აქტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც სრულ ჰარმონიაში იყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ახალ აქტში წარმოდგენილი იყო სახელმწიფო შესყიდვების კლასიკური დაყოფა სამშენებლო, მარაგების და მომსახურების შესყიდვის ნაწილებად, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილი იყო ზედა და ქვედა ზღვრისა და მცირე სახელმწიფო შესყიდვების მიხედვით.

ზედა ზღვრით განსაზღვრული შესყიდვისას ჩეხეთის რესპუბლიკის ახალი აქტი სრულად შეესაბამებოდა ევროკავშირის კანონმდებლობას. ქვედა ზღვარის შემთხვევაში კანონი ოდნავ იყო შეცვლილი, რაც მიზნად ისახავდა იმ შიდა კომპანიების მხარდაჭრას, რომლის დასაქმებულთა 50%-ზე მეტს შეადგენდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები. ორივე სახის სახელმწიფო შესყიდვაში გამარჯვებულის გამოვლენა ხდებოდა 4 ძირითადი გზით: ღია ტენდერის გამოცხადება, დახურული ტენდერის გამოცხადება, ღია ტენდერის გამოცხადება, რომელიც წარიმართებოდა ვაჭრობით და დახურული ტენდერის გამოცხადება, რომელიც წარიმართებოდა ვაჭრობით.

აქტით No 40/2004 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მიღწეულ იქნა მეტი გამჭვირვალობა და შემცირდა უცხოური კომპანიების დისკრიმინაციის რისკი. გამჭვირვალობის ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მაღალფასიანი ობიექტების შესყიდვის შემთხვევაში. ახალი აქტი ხელს უწყობდა შემსყიდველ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომ ადრე არსებული „საკონტრაქტო ხელშეკრულებებიდან“ გადასულიყვნენ მოლაპარაკებებით დადებულ ხელშეკრულებებზე ისეთ

ორგანიზაციებთან, რომლებიც გარკვეულწილად მონოპოლიურ მდგომარეობაში იყვნენ თავიან სფეროში, ევაჭრათ მათთან და დაედოთ გრძელვადიანი ხელშეკრულებები.

აქტის No 40/2004 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ დამტკიცებიდან ერთი წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ აშკარა იყო მისი ეფექტიანობა, მაინც გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა, რომლის გადალახვაც მეთოდოლოგიური მითითებებით შეუძლებელი იყო. ასე მაგალითად:

- ხელშეკრულებაში შემავალი ზოგიერთი ტერმინის მიუკერძოებელი განმარტება;
- გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურებში გარკვეული ლაფსუსების არსებობა, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ პროცედურებში;
- ზღვრული ტარიფით შესყიდვის შემთხვევაში გამარჯვებულის გამოვლენის პროცესის ზედმეტად მკაცრი კონტროლი;
- ხარვეზები ხელშეკრულებაში არსებული პუნქტების: სამართლებლივი შეზღუდვებისა და ვადების დაწესების შესახებ;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების სისტემის ჩამოუყალიბებლობა.

აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით 2006 წლის გაზაფხულზე შედგა ახალი აქტი No 137/2006, რომელშიც არ შეცვლილა ძირითადი მიმართულებები. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებიდან აღსანიშნავია, რომ გაზრდილია „მცირე სამშენებლო სამუშაოების“ შესყიდვის ღირებულება 2 მილიონი კრონიდან 6 მილიონამდე, ასევე გაიზარდა ელექტრონული აუქციონების გამოყენების დონეც.

დღესდღეობით ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება აქტით No 137/2006, შესყიდვის პროცესში კონკურენციის დაცვა - აქტით No 143/2001, დათმობები და სხვა სამთავრობო ბრძანებები გაწერილია აქტში No 139/2006. სამთავრობო შესყიდვების რეგულაცია ევალება რეგიონული განვითარების სამინისტროს, ხოლო შესყიდვების მონიტორინგი ეკუთვნის ეკონომიკური კონკურენციის ოფისს.

შესყიდვის მინიმალური ზღვრები ტენდერის გამოსაცხადებლად შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- საქონელი - 2 მლნ ჩეხური კრონა (74 000 EUR)
- სამუშაოები - 6 მლნ ჩეხური კრონა (222 000 EUR)
- მომსახურებები - 2 მლნ ჩეხური კრონა (74 000 EUR)

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: შემსყიდველი ვალდებულია სრულად გამოაქვეყნოს სატენდერო დოკუმენტაცია ონლაინ ვებ-გვერდზე. სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავს სატენდერო პირობებს; არსებობის შემთხვევაში, მინიმალურ ტექნიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს; დოკუმენტაციას, ნიმუშებს ან მოდელებს, რომლების საჭიროა შეთავაზების შეფასებისთვის; შეფასების კრიტერიუმებს და მეთოდებს, რომლის მიხედვითაც უნდა გაანალიზდეს თითოეული შემთავაზება. საჯარო დოკუმენტები უნდა გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე: www.vestnikverejnychzakazek.cz

აუცილებელია ყველა გამოქვეყნებული დოკუმენტაციისა და გამოცხადებული ტენდერის შესახებ ინფორმაციის არქივის არსებობა.

გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუმეტეს 15 დღეში შემსყიდველი ვალდებულია მასთან გააფორმოს ხელშეკრულება და ატვირთოს შესაბამის ვებ-გვერდზე. მონაწილეთა მიერ გაკეთებული შეთავაზებები არ ქვეყნდება საჯაროდ. ქვეყნდება მხოლოდ შერჩეული მონაწილეების დასახელებები.

ქვეკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, თუ ქვეკონტრაქტორი ასრულებს ვალდებულებების 40%-ზე მეტს აუცილებელია გასაჯაროვდეს მისი სახელი და საიდენტიფიკაციო მონაცემები.

შეფასების სისტემა: გამონაკლისი შემთხვევების გარდა (რომელიც დასაბუთებული იქნება კანონმდებლობის მიხედვით), სატენდერო დოკუმენტაცია არ უნდა შიკავდეს ინფორმაციას/მოთხოვნას რომელიმე კონკრეტული მწარმოებლის, პროდუქტის, გამოგონების, სამრეწველო ნიმუშის, სასაქონლო ნიშნისა და წარმოშობის შესახებ.

არ არსებობს გამონაკლისები მცირე და საშუალო მეწარმეთათვის, თუმცა შემსყიდველი ვალდებულია ამომწურავად დაასაბუთოს, თუ რატომ არ დაიყო ტენდერი მცირე ნაწილებათ მცირე და საშუალო მეწარმეთათვის მონაწილეობის მიღების გამარტივებისთვის. ასევე, არ არსებობს გამონაკლისები ადგილობრივი/ეროვნული კომპანიებისთვის, ყველა კანონი რომელიც ვრცელდება შესყიდვაზე, ვრცელდება ადგილობრივი და უცხოური კომპანიებისთვის თანაბარმნიშვნელოვნად.

სატენდერო საბჭომ შესაძლოა დისკვალიფიკაცია მისცეს მონაწილეს იმ შემთხვევაში, თუ:

- პრეტენდენტის სატენდერო დოკუმენტაცია, ნიმუშები და ა.შ. სრულად არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს;
- მონაწილემ არ გადაიხადა მოთხოვნილი სადაზღვო თანხა;
- შეთავაზებული ფასი არის არასტანდარტულად/საეჭვოდ დაბალი;
- არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და სხვა ალტერნატივა არ მოიძებნება;
- მონაწილე არღვევს სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;
- მონაწილემ, შემსყიდველ ორგანიზაციასთან გასული 3 წლის განმავლობაში დადებული სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულად ან საერთოდ ვერ შეასრულა, რამაც გამოიწვია შემსყიდველის დაზარალება ან მიმწოდებლის დაჯარიმება;
- მონაწილემ სცადა სატენდერო დოკუმენტაციის არალეგალურად წინასწარ მოპოვება;
- მონაწილემ გასული 3 წლის განმავლობაში ჩაიდინა პროფესიული დანაშაული;
- სატენდერო კომისიისთვის ცნობილი გახდება, რომ მონაწილეს აქვს არალეგალური გარიგება;
- პოტენციური მიმწოდებელი არის არასანდო, არ არის დარეგისტრირებული შესაბამის ორგანოში და არ გააჩნია ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო რესურსი;
- მონაწილე წარადგენს ორზე მეტ წინადადებას.

სატენდერო წინადადება ავტომატურად დისკვალიფიცირდება, თუ:

- სატენდერო დოკუმენტაცია, ნიმუშები და ა.შ. სრულად არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს;
- მოთხოვნილი სადაზღვო თანხა არ იქნება გადახდილი;
- შეთავაზებული ფასი არის არასტანდარტულად დაბალი და აღნიშნული ფაქტი მონაწილის მიერ არ იქნება რელევანტურად ახსნილი;
- მონაწილე არის ტენდერის გამომცხადებელთან ინტერესთა კონფლიქტში;
- ვადის ამოწურვამდე, ტენდერის მონაწილე არ წარმოადგენს დოკუმენტაციას სრული ფორმით;
- პოტენციური მიმწოდებელი არის არასანდო, არ არის დარეგისტრირებული შესაბამის ორგანოში და არ გააჩნია ვალდებულების შესრულებისთვის საჭირო რესურსი;

ტენდერის შედეგების განხილვა არ არის აუცილებელი კომიტეტის მიერ, თუ მისი ღირებულება არ აღემატება 300 მლნ კრონას.

შეფასების კომიტეტის წევრები არ უნდა იყვნენ ინტერესთა კონფლიქტში მონაწილეებთან. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა სიტუაცია, როდესაც პირები, რომლებიც მონაწილეობენ სატენდერო პროცედურებში და პირები, რომელთაც რაიმე სახის ზეგავლენა აქვთ ტენდერის პროცესზე არიან მიკერძოებულები სატენდერო პროცედურების მიმართ, რაც, თავის თავში გულისხმობს, რომ ისინი ელოდებიან რაიმე სახის სარგებელს ტენდერის შედეგებიდან, ან ზღუდავენ სარგებელს, რომელსაც იღებს შემსყიდველი ორგანიზაცია. ასე რომ, სატენდერო სხდომაზე ისინი აწერენ ხელს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ოფიციალურ დოკუმენტს.

ტენდერი შესაძლოა ჩაშლილად გამოცხადდეს, თუ:

- ტენდერში მონაწილეობა მიიღო არასაკმარისი რაოდენობის მიმწოდებელმა;
- შერჩეული მიმწოდებელი დისკვალიფიცირებულ იქნა კომისიის მიერ;
- საჭირო გახდა ტენდერში აუცილებელი და ძალიან საჭირო პირობის ჩამატება/კორექტირება/ამოკლება, რაც ცვლის ტენდერის მიმდინარეობის პროცესს;
- შემსყიდველ ორგანიზაციას არ გადაეცა ფულადი სახსრები, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო შესყიდვა;
- სატენდერო პროცედურის მიმდინარეობისას დარჩა მხოლოდ ერთი მონაწილე.

თავისუფალი კონკურენცია: ყველანაირი დოკუმენტაცია, რომელიც ეხება სახელმწიფო შესყიდვის პროცედურას საჯაროვდება საიტზე: <https://www.vestnikverejnychzakazek.cz/>.

ნებისმიერი სახის შესყიდვაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მინიმუმ 3 პრეტენდენტი.

ღია სატენდერო პროცედურებისთვის მინიმალური ხანგრძლივობაა 30 დღე. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა ხანგრძლივობა დავიდეს 15 დღემდე, თუ სატენდერო დოკუმენტაცია უკვე გამოქვეყნებულია პროცედურის დაწყებამდე. თუ შეთავაზებები მიიღება მხოლოდ ელექტრონულად, მაშინ პროცედურის ხანგრძლივობა განისაზღვრება მინიმუმ 35 დღით. თუ სატენდერო დოკუმენტაცია არ არის

ელექტრონულად ხელმისაწვდომი, პროცედურის ხანგრძლივობაა 35 დღე, დაბალფასიანი საქონლისა და მომსახურების შესყიდვისას - 15 დღე, ხოლო დაბალფასიანი სამუშაოების შესყიდვისას - 20 დღე.

სავაჭრო ტენდერისთვის პროცედურების მინიმალური ხანგრძლივობაა 25 დღე. გამონაკლის შემთხვევებში 10 დღე, თუ სატენდერო დოკუმენტაცია უკვე გამოქვეყნებულია პროცედურის დაწყებამდე. 30 დღე, როდესაც განცხადებები მიიღება მხოლოდ ელექტრონულად; 30 დღე, თუ სატენდერო დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი ინტერნეტის გამოყენებით; ხოლო 15 დღე, როდესაც ხდება დაბალფასიანი შესყიდვა.

ინსტიტუციონალური ღონისძიებები: ზოგიერთი სახის შესყიდვის დროს, საბიუჯეტო ორგანიზაციები არ იყენებენ სახელმწიფო შესყიდვას/არ ექვემდებარებიან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს. ასეთი შესყიდვებია: საიდუმლო ინფორმაციის შემცველი შესყიდვები; ეროვნული უსაფრთხოება; იარაღების წარმოება/შეძენა; კვლევისა და განვითარების მომსახურებები; უსაფრთხოებისა და ფინანსური ინსტრუმენტები; საარბიტრაჟო, იურიდიული და მთარგმნელობითი მომსახურებები; ჩეხეთის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის, საინვესტიციო მომსახურებები; ჰუმანიტარული დახმარება; პოლიტიკური კამპანიის მომსახურება და სარკინიგზო გადაზიდვები.

დაწესებულებები, რომლებიც აუცილებლად უნდა ემორჩილებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს: ჩეხეთის რესპუბლიკა, რაც თავის თავში გულისხმობს, სამინისტროებს და სხვა სამთავრობო ორგანიზაციებს/დაწესებულებებს; ჩეხეთის ეროვნული ბანკი; სახელმწიფო შემწეობის ორგანიზაციები; მუნიციპალიტეტები და თვითმმართველი რეგიონები; ყველა დაწესებულება, რომელიც ფინანსდება ან კონტროლდება ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებიდან/დაწესებულებებიდან რაიმე კონკრეტული მიზნისთვის (გარდა სამრეწველო და კონერციული მიზნისა); დაწესებულება, რომლის 50%-ს და მეტს აფინანსებს სახელმწიფო, ან რომლის შესყიდვის მინიმუმ 50%-ს აფინანსებს სახელმწიფო (სახელმწიფოს წილი უნდა იყოს არანაკლებ 200 მლნ კრონა).

კანონში დაზუსტებულია სახელმწიფო შესყიდვის შემდეგი სახეობები: გამარტივებული დაბალფასიანი შესყიდვა; ღია პროცედურული შესყიდვა; შეზღუდული შესყიდვა; სავაჭრო ტენდერი გამოქვეყნების გარეშე; პროცედურა კონკურენტუნარიანი შეჯიბრით; ინოვაციური პარტნიორობის პროცედურა; დათმობის პროცედურა.

სამინისტრო ადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს და თავადვე არეგულირებს/შეაქვს ცვლილებები მასში.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დასაქმებულთათვის არ მოითხოვება კონკრეტული მიმართულების განათლება.

არსებობს საარბიტრაჟო ჯარიმა, რომელიც განისაზღვრება ტენდერის ღირებულების 1%-ით არანაკლებ 50 000 და არაუმეტეს 10 000 000 კრონისა, რაც გადაეხდება კონკურენციის დაცვის სააგენტოს. შესაძლებელია, კონკურენციის სააგენტოს ნებისმიერმა მსურველმა შესთავაზოს კონკრეტული ტენდერის განხილვა, რომლის ღირებულებაც აღემატება 10 000 კრონას, თუმცა ამისთვის მან კონკურენციის სააგენტოს უნდა გადაუხადოს დადგენილი გადასახადი.

საქმის სასამართლო განხილვამდე შემსყიდველი არ არის ვალდებული გააჩეროს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესი, კონკურენციის დაცვის სააგენტომ შესაძლოა შემსყიდველს მისცეს მითითება, თუმცა არ ავალდებულებს მას. კონკურენციის დაცვის სააგენტოსთვის წინადადების წარდგენიდან 60 დღეზე ადრე შემსყიდველს არ აქვს უფლება ხელი მოაწეროს კონტრაქტს.

§2.2. სლოვაკეთი

სლოვაკეთის სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა თავდაპირველად გადმოღებული იყო UNESCO-ს მიერ 1993 წელს რეკომენდირებული კანონიდან და ჰქონდა საკმაოდ მარტივი სახე. იგი 1999 წელს დაკორექტირდა ევროკავშირის რეკომენდაციების მიხედვით და შესაბამისობაში მოვიდა საყოველთაოდ მიღებულ სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის მოდელთან. ჩამოყალიბდა სახელმწიფო შესყიდვების ოფისი (Public Procurement Office – PPO), რომელიც ადგენდა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეთა პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნებს, ასევე აფართოებდა ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკაზე დაკვირვებისა და წინააღმდეგობების გადალახვის რესურსებს.

გამჭვირვალობის თვალსაზრისით, მიღებული აქტის დებულებები მოიცავდა გამჭვირვალობის პრინციპებს, მასში მითითებული იყო ის დებულებები, რომლითაც ხელი ეწყობოდა კონკურენტუნარიან და სამართლიან სახელმწიფო შესყიდვებს,

ტენდერის გამოცხადების ეტაპიდან გამარჯვებულის გამოვლენის ეტაპის ჩათვლით. ასევე, მის ფარგლებში ჩამოყალიბდა კვალიფიციურ მეწარმეთა რეესტრის ინსტიტუტი.

შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით ჩამოყალიბდა კომისია, რომელიც აფასებდა შესყიდვის პროცესში მონაწილეთა მიერ წარდგენილ წინადადებებს. ისინი მოქმედებდნენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - სლოვაკეთი“-ს მიერ წინასწარ დადგენილი პრინციპების მიხედვით.

სლოვაკეთმა მესამე ათასწლეულში შეაბიჯა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შესახებ სრულად ფორმულირებული კანონმდებლობითა და მისი განმტკიცების სამომავლო გზებით, რომელიც თავის თავში მოიცავდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დასაქმებულთა პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ მოთხოვნებს. სლოვაკეთის პრაქტიკაში კარგად იყო ცნობილი სახელმწიფო შესყიდვების აქტის პრინციპების თავიდან არიდება და დარღვევები, რაც ითვალისწინებდა სახელმწიფო შესყიდვის არასაჯაროდ განხორციელებასაც კი. აღნიშნული ფაქტის საკონტროლო ქმედებები ძირითადად განისაზღვრებოდა განაცხადში ადმინისტრაციული ნაკლოვანებების ფორმალური გადაწყვეტის გზით და მიუხედავად დიდი უცხოური დახმარებისა, მთავრობის მიერ გამოცხადებული ერთობლივი შესყიდვის წარმატებული საპილოტე პროგრამისა (ჩარჩო ხელშეკრულების საფუძველზე რამდენიმე საჯარო შემსყიდველის მოთხოვნისგან შექმნილი სატენდერო დოკუმენტაცია), რეალურად განხორციელებული ერთობლივი შესყიდვები მაინც არ იყო წარმატებული.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო შესყიდვების აქტში განხორციელდა ორი ცვლილება, რომელიც არ შეესაბამებოდა სლოვაკეთში არსებულ რეალურ მდგომარეობას და შესყიდვისას არსებული ლაფსუსები ყოველ ჯერზე მართლდებოდა ევროკავშირის მიერ მიღებული კანონმდებლობით.

საჯარო შესყიდვების სფეროში გამჭვირვალობის გაზრდისა და კორუფციის დონის შემცირების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების აქტში No 557/2001 განხორციელდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებდა შემდგომ: შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებულიები გახდნენ ჩაეტარებინათ ბაზრის კვლევა მეწარმეთა რეესტრიდან ამოღებული მეწარმეთა სიის დახმარებით. ბაზრის კვლევისას, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული იყო ტენდერის გამოცხადებამდე მეწარმეებისთვის გაეგზავნა დახურული კონვერტი, რომელშიც მოთავსებული იქნებოდა სატენდერო დოკუმენტაციის წინასწარი ვერსია. არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებული

იყო მიეღო მეწარმეთა კორექტირებები კონკრეტულ ტენდერთან დაკავშირებით და გაეთვალისწინებინა ისინი ტენდერის გამოცხადებისას. შესყიდვის პროცედურის შესახებ არსებული წინააღმდეგობები და რთული სიტუაციები აღარ წყდებოდა სახელმწიფო შესყიდვების ოფისის (Public Procurement Office – PPO) მიერ, საკითხზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სპეციალურად დანიშნულ სენატის წევრებს.

ახალ აქტში No 530/2002 სლოვაკეთმა უკეთესად შეითვისა ევროკავშირის მიერ გაცემული რეკომენდაციები და რეგულაციები, რომელიც ევროპის კომისიის მიერ იყო დადგენილი, თუმცა იმ დროს, როდესაც სლოვაკეთში ეს ცვლილებები ხორციელდებოდა, ევროკავშირში უკვე გაუქმებული იყო აღნიშნული რეგულაციები. რეგულაციები მოიცავდა ქვეყანაში მონოპოლიის შეზღუდვის საკითხს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის პროცესში მონაწილისგან საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნით, რაც მოიცავდა მონაწილის იურიდიულ, ფინანსურ და ტექნიკურ კვალიფიკაციებსა და განცხადების ნიმუშს. გამჭვირვალობის გაზრდისა და კორუფციის დონის შემცირების მიზნით, აღნიშნული განცხადების ნიმუშები ქვეყნდებოდა პროფესიულ ჟურნალებში და შესყიდვის ბიულეტენებში, რადგან იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ინტერნეტ შესყიდვების პრაქტიკა. ასევე, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, ისინი იბეჭდებოდა შესყიდვის ბიულეტენის დანართის სახით, რომლის საჯაროდ გამოქვეყნების საკითხიც მოლაპარაკებადი იყო. ამასთან, შესაძლებელი გახდა PPO-ს მიერ წინა პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრება და გადახედვა. ასევე, შესაძლებელი გახდა არასტანდარტულად დაბალი ფასის შეთავაზებების განხილვა, წარდგენილი საგარანტიო დოკუმენტის საფუძველზე.

2003-და 2005 წლამდე სპეციალური ჯგუფის მიერ ჩატარდა სახელმწიფო შესყიდვების საფუძვლიანი, ხუთსაფეხურიანი მონიტორინგი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, თითოეული რაუნდი წარმართებოდა სლოვაკეთის თანაბარ ეკონომიკურ მდგომარეობაში არსებული თვითმმართველი რეგიონების მიერ. „ინფორმაციის თავისუფლების აქტის“ საფუძველზე შეგროვდა ასობით დოკუმენტაცია და 77 ორგანიზაცია, რომელმაც გაიარა მონიტორინგი. აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება მოხდა PPO-ს მიერ. თითოეულ რაუნდში მონიტორინგი ჩატარდა რეგიონებსა და ქალაქებში არსებულ გარეუბნის საავადმყოფოებს, უმაღლესი ტერიტორიული ერთეულების ოფისებს და მათზე

დაქვემდებარებულ საჯარო სკოლებს, სამინისტროებს და წყალმომარაგების კომპანიებს. თითოეული რაუნდის შედეგები დეტალურად შეფასდა და გამოქვეყნდა საჯაროდ.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით გაკეთებული დასკვნებიდან აღსანიშნავია, რომ გამჭვირვალობისა და ანტიკორუფციულობის თვალსაზრისით, გამოვლინდა რომ შესყიდვის განხორციელებისას ხდებოდა „სახელმწიფო შესყიდვების აქტის“ უგულებელყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვებს შორის არ იყო საკმარისად რაციონალური კავშირი. ასევე, პრობლემატური იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების (ამ შემთხვევაში ინტერნეტსაშუალებების) გამოყენების საკითხიც, რადგან სახელმწიფო შესყიდვების სისტემა არ იყენებდა სპეციალურად მისთვის შექმნილ ვებ-გვერდს და არ ჰქონდა აღნიშნული ტექნოლოგიების ათვისების დიდი ინტერესი. ხშირი იყო არაკონკურენტული, პირდაპირი შესყიდვების განხორციელება, რაც შეადგენდა მთელი სახელმწიფო შესყიდვების 46%-ს, უგულებელყოფილი იყო მისი ალტერნატიული, მეტად კონკურენტული მეთოდები - საჯარო ტენდერები. თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კვლევის მიხედვით, იმ ორგანიზაციების მდგომარეობა სახელმწიფო შესყიდვების სამართლიანად ჩატარების მხრივ, რომლებსაც ჩაუტარდათ მონიტორინგი, უფრო კარგი იყო, ვიდრე მთლიანად ქვეყნის საშუალო მდგომარეობა. ძალიან იშვიათად გამოიყენებოდა ერთობლივი შესყიდვები, ხშირი, არაპროპორციულად მაღალი იყო უკმაყოფილება ტენდერების შესახებ ინფორმაციის სისრულესთან და გამართულობასთან დაკავშირებით, ბაზრის კვლევისა და შესყიდვის ღირებულებები, ხშირ შემთხვევაში სრულიად აცდენილი იყო ერთმანეთს, რაც ნიშნავდა, რომ არ სრულდებოდა სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მთავარი მიზანი: სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალური ხარჯვა და გამჭვირვალობა.

ზემოთ აღნიშნული შენიშვნები საფუძვლად დაედო 2006 წელს მიღებულ ახალ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ აქტს No 25/2006, რომელიც მიღების დღიდან საკმაოდ წარმატებულად მოქმედებდა. აქტი სრულად აკმაყოფილებდა ევროკავშირის მიერ 2004 წელს მიღებულ საყოველთაო რეგულაციებს მაღალფასიანი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. ასევე, გამკაცრდა არაკონკურენტული, პირდაპირი შესყიდვების პირობებიც, რეალურად შესაძლებელი გახდა რამდენიმე შემსყიდველის მიერ ერთობლივი შესყიდვის განხორციელება, ლეგალური გახდა რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოების საქმიანობა, შესაძლებელი გახდა შემსყიდველის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების შესახებ ჩივილი და აუცილებლობის შემთხვევაში, კანონის სრული დაცვით, მათი დაჯარიმებაც.

სლოვაკეთის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა დღესდღეობით რეგულირდება სახელმწიფო ხელშეკრულებების აქტით (2011 და 2016). სახელმწიფო შესყიდვების მაკონტროლებელი არის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც ექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს. (შესყიდვების სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია დანართი №1-ის სახით)

შესყიდვის მინიმალური ზღვრები ტენდერის გამოსაცხადებლად შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- საქონელი - 20 000 EUR
- სამუშაოები - 70 000 EUR
- მომსახურებები - 20 000 EUR

არსებობს მონაწილეთა მინიმალური რაოდენობა შეზღუდულ ან სავაჭრო პროცედურებში. ღია ტენდერებში წინადადების წარდგენის მინიმალური პერიოდია 35 დღე, შეზღუდული ტენდერებისთვის - 30 დღე, ხოლო სავაჭრო ტენდერებში - 30 დღე ტენდერის გამოცხადების დღიდან.

შესაძლებელია შერჩევითი სამართლის არსებობაც, რადგან ადგილობრივ კომპანიებს მეტი ყურადღება ეთმობათ და მინიჭებული აქვთ უპირატესობები და მათთან მიმართებაში უფრო მეტად არის გათვალისწინებული მდგრადობის საკითხები.

შთავაზება შესაძლოა დისკვალიფიცირდეს არასტანდარტულად დაბალი ფასის გამო. შეთავაზებების განხილვის ეტაპზე, აუცილებელია შედგეს ინტერესთა კონფლიქტის დოკუმენტი. ასეა თუ ისე, საკონტრაქტო ორგანოს დამოუკიდებლობა არ არის სავალდებულო საშემფასებლო კომიტეტისთვის.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა შეთავაზებების გასაკეთებლად უნდა გამოქვეყნდეს ონლაინ, შემსყიდველის პროფაილზე. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო უზრუნველყოფს შემსყიდველების პროფაილების გამართულ ფუნქციონირებას ვებ-გვერდზე: <https://www.uvo.gov.sk/vyhladavanie-profilov-4db.html>, ტიპიური შესყიდვებისთვის არსებობს ვებ-გვერდი - www.eks.sk, ასევე გამოიყენება ვებ-გვერდი - <https://tender.sme.sk/>.

აუცილებელია ყველა გამოქვეყნებული დოკუმენტაციისა და გამოცხადებული ტენდერის შესახებ ინფორმაციის არქივის არსებობა.

გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუმეტეს 7 სამუშაო დღეში შემსყიდველი ვალდებულია მასთან გააფორმოს ხელშეკრულება, რომლის ფორმაც წინასწარ არ მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში და ატვირთოს შესაბამის ვებ-გვერდზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად ჩაითვლება გაუქმებულად.

ქვეკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, თუ ქვეკონტრაქტორი ასრულებს ვალდებულებების 30%-ზე მეტს (სახელშეკრულებო ღირებულებიდან არანაკლებ 10 000 ევროს ვალდებულება) აუცილებელია გასაჯაროვდეს მისი სახელი და საიდენტიფიკაციო მონაცემები. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მონაწილისგან მოითხოვოს ინფორმაცია დაკისრებული ვალდებულების რა ნაწილს შეასრულებს თითოეული ქვეკონტრაქტორი. აღნიშნული ინფორმაციაც საჯაროვდება სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://www.uvo.gov.sk/vestnik-a-zoznam-registrov/register-podnikatelov-/register-konecnych-uzivatelov-vyhad-427.html>.

შეფასების სისტემა: არ არსებობს გამონაკლისები მცირე და საშუალო მეწარმეთათვის, თუმცა შემსყიდველი ვალდებულია ამომწურავად დაასაბუთოს, თუ რატომ არ დაიყო ტენდერი მცირე ნაწილებად მცირე და საშუალო მეწარმეთათვის მონაწილეობის მიღების გამარტივებისთვის. ასევე, არ არსებობს გამონაკლისები ადგილობრივი/ეროვნული კომპანიებისთვის, ყველა კანონი რომელიც ვრცელდება შესყიდვაზე, ვრცელდება ადგილობრივი და უცხოური კომპანიებისთვის თანაბარმნიშვნელოვნად.

სატენდერო საბჭომ შესაძლოა დისკვალიფიკაცია მისცეს მონაწილეს იმ შემთხვევაში, თუ:

- მონაწილე არ აკმაყოფილებს „პირადი სტატუსის“ შესახებ მოთხოვნილ პირობებს. მაგალითად ბრალდებულია სისხლის სამართლის დანაშაულში, შეყვანილია საგადასახადო დავალიანებების მქონე მეწარმეთა სიაში, წარსულში აქვს პროფესიული დანაშაულებების ჩადენის ჩანაწერები, აკრძალული აქვს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღება, სანქცირებულ იქნა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, აქვს გარღვევები შრომითი უფლებების საკითხებში და ა.შ.
- მონაწილე წარადგენს ერთზე მეტ შეთავაზებას.

სატენდერო წინადადება ავტომატურად დისკვალიფიცირდება, თუ:

- სატენდერო დოკუმენტაცია, ნიმუშები და ა.შ. სრულად არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილს;
- მოთხოვნილი სადაზღვო თანხა არ იქნება გადახდილი;
- მონაწილე წარადგენს ერთზე მეტ შეთავაზებას;
- მონაწილემ სცადა გარიგება შემსყიდველ ორგანიზაციასთან;
- შეთავაზებული ფასი არის არასტანდარტულად დაბალი და აღნიშნული ფაქტი მონაწილის მიერ არ იქნება რელევანტურად ახსნილი;

შეფასების კრიტერიუმები ქვეყნდება საჯარო პლატფორმაზე. მონაწილეთა მიერ გაკეთებული შეთავაზებები არ ქვეყნდება საჯაროდ.

გადაწყვეტილება ყოველთვის მიიღება სატენდერო კომისიის მიერ, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისგან.

შეფასების კომიტეტის წევრები არ უნდა იყვნენ ინტერესთა კონფლიქტში. კომიტეტის წევრი არ უნდა იყოს ისეთი პიროვნება, რომელიც არის ასევე ტენდერის მონაწილე, ან გასული ერთი წლის განმავლობაში იყო 1) ფიზიკური პირი (როგორც მიმწოდებელი); 2) მიმწოდებლის პოზიციაში როგორც იურიდიული პირი, ან იურიდიული პირის წევრი პიროვნება; 3) ტენდერში მონაწილის - იურიდიული პირის აქციონერი; 4) მონაწილის მიერ დასაქმებული პიროვნება; 5) შესყიდვების სააგენტოს თანამშრომელი;

სატენდერო კომისიის წევრი არ უნდა იყოს: 1) ზემოთ აღნიშნული პირების ახლო ნათესავი; 2) პირი, რომლის მიუკერძოებლობაც ეჭვქვეშ დგება ტენდერში მონაწილე მეწარმის უჩვეულო მხარდაჭერით, რომელმაც წინასწარ მოუშადა სატენდერო დოკუმენტაცია მონაწილეს, ან უბრალოდ მონაწილეობა მიიღო მიმწოდებლის სატენდერო წინადადების ჩამოყალიბებაში.

ტენდერი შესაძლოა ჩაშლილად გამოცხადდეს, თუ:

- სატენდერო დოკუმენტაციის პირობების შეცვლა გახდა საჭირო. იგულისხმება ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც არღვევს კანონს და რომელსაც შესაძლოა დიდი გავლენა ჰქონდეს ტენდერის საბოლოო შედეგებზე.
- შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ორმა განმცხადებელმა. თუ ტენდერში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ერთი კომპანია და შემსყიდველი ორგანიზაცია არ ჩაშლის ტენდერს, იგი ვალდებულია რაციონალური ახსნა

მოუძებნოს და საჯაროდ გამოაქვეყნოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია.

- შეთავაზებული ფასი სატენდერო ფასზე მაღალია.

თავისუფალი კონკურენცია: ყველანაირი დოკუმენტაცია, რომელიც ეხება სახელმწიფო შესყიდვის პროცედურას საჯაროდება საიტზე: <https://evo.gov.sk>.

ნებისმიერი სახის შესყიდვაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მინიმუმ 1 პრეტენდენტი.

სტანდარტული ღია სატენდერო პროცედურებისთვის მინიმალური ხანგრძლივობაა 35 დღე. გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა ხანგრძლივობა დავიდეს 15 დღემდე, თუ სატენდერო დოკუმენტაცია უკვე გამოქვეყნებულია პროცედურის დაწყებამდე. თუ შეთავაზებები მიიღება მხოლოდ ელექტრონულად, მაშინ პროცედურის ხანგრძლივობა განისაზღვრება მინიმუმ 30 დღით, ხოლო თუ სატენდერო დოკუმენტაცია არ არის ელექტრონულად ხელმისაწვდომი, პროცედურის ხანგრძლივობაა 40 დღე.

შეზღუდული ტენდერისთვის პროცედურების მინიმალური ხანგრძლივობაა 30 დღე. გამონაკლის შემთხვევებში 10 დღე, თუ სატენდერო დოკუმენტაცია უკვე გამოქვეყნებულია პროცედურის დაწყებამდე. 25 დღე, როდესაც განცხადებები მიიღება მხოლოდ ელექტრონულად; 35 დღე, თუ სატენდერო დოკუმენტაცია არ არის ხელმისაწვდომი ინტერნეტის გამოყენებით;

სავაჭრო ტენდერისთვის პროცედურების მინიმალური ხანგრძლივობაა 30 დღე, გამონაკლის შემთხვევებში 10 დღე, იმ პირობით, რომ სატენდერო დოკუმენტაცია წინასწარ არის გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი. 25 დღიანი პროცედურა, როდესაც შეთავაზებები მიიღება ელექტრონულად, ხოლო 35 დღიანია პროცედურა, როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია არ არის ელექტრონულად ხელმისაწვდომი.

ინსტიტუციონალური ღონისძიებები: ზოგიერთი სახის შესყიდვის დროს, საბიუჯეტო ორგანიზაციები არ იყენებენ სახელმწიფო შესყიდვას/არ ექვემდებარებიან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს. ასეთი შესყიდვებია: საიდუმლო ინფორმაციის შემცველი შესყიდვები; ეროვნული უსაფრთხოება; იარაღების წარმოება/შემენა; შრომითი ხელშეკრულებები; კვლევისა და განვითარების მომსახურებები; უსაფრთხოებისა და ფინანსური ინსტრუმენტები; საარბიტრაჟო, ლეგალური, მთარგმნელობითი, ჩეხეთის

რესპუბლიკის ეროვნული ბანკის, საინვესტიციო მომსახურებები; ჰუმანიტარული დახმარება; პოლიტიკური კამპანიის მომსახურება და სარკინიგზო გადაზიდვები და ა.შ.

დაწესებულებები, რომლებიც აუცილებლად უნდა ემორჩილებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს: სლოვაკეთის რესპუბლიკა, რომელიც წარმოდგენილია თავისი სამინისტროების სახით; მუნიციპალიტეტები; უმაღლესი ტერიტორიული ერთეულები; ყველა დაწესებულება, რომელიც ფინანსდება ან კონტროლდება ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციებიდან/დაწესებულებებიდან რაიმე კონკრეტული მიზნისთვის (გარდა სამრეწველო და კონერციული მიზნისა); დაწესებულებები, რომლის 50%-ს და მეტს აფინანსებს სახელმწიფო, ან რომლის შესყიდვის მინიმუმ 50%-ს აფინანსებს სახელმწიფო;

კანონში დაზუსტებულია სახელმწიფო შესყიდვის შემდეგი სახეობები: ღია პროცედურული შესყიდვა; შეზღუდული შესყიდვა; სავაჭრო ტენდერი, რომელიც საჯაროდ ქვეყნდება; პროცედურა კონკურენტუნარიანი შეჯიბრით; ინოვაციური პარტნიორობის პროცედურა; დათმობის პროცედურა.

ქვეყანაში არსებობს ორგანო - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც მეთვალყურეობს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებს. სააგენტოს ვებ-გვერდია: <http://uvo.gov.sk/>.

შესყიდვის პროცედურაში არსებობს სხვადასხვა სახის გადასახადები:

1. გადასახადი, რომელიც გადაიხდება ტენდერის გახსნამდე მასში მონაწილეობის მისაღებად:

- განისაზღვრება სამომავლო სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ით, მაქსიმუმ 4 000 ევრო;
- სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში, სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ით, რაც არის არაუმეტეს 10 000 ევრო;
- დაბალფასიანი შესყიდვისას მომსახურების შესყიდვისას გადასახადი განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ით, რაც არის არაუმეტეს 2 000 ევრო;
- მაღალფასიანი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას გადასახადი განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ით, რაც არის არაუმეტეს 5 000 ევრო.

2. გადასახადები, რომლებიც გადაიხდება სატენდერო პროცედურის დასრულების შემდგომ, მონაწილის მიერ შეთავაზების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველზე:

- გადასახადი შეადგენს შეთავაზებული ღირებულების 1%-ს, რომელიც განისაზღვრება მაქსიმუმ 150 000 ევროთი, თუ მონაწილის მიმართ საჩივარი სხვა მიზეზით არ არის შეტანილი.

3. თუ შეთავაზებული წინადადება დისკვალიფიცირდება არასტანდარტულად დაბალი ფასის გამო, მონაწილე ვალდებულია გადაიხადოს შეთავაზებული ღირებულების 1%, რომელიც არის არანაკლებ 600 და არაუმეტეს 30 000 ევრო.

§1.3. პოლონეთი

პოლონური სახელმწიფო შესყიდვების სისტემა რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით. სახელმწიფო შესყიდვებს მეთვალყურეობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

შეზღუდული პროცედურებისთვის აუცილებელია შესყიდვაში მონაწილეობდეს მინიმუმ ხუთი მიმწოდებელი, ხოლო სავაჭრო და კონკურენტულ შესყიდვებში საჭიროა მინიმუმ სამი მონაწილე. განაცხადის გაკეთების მინიმალური ვადაა ტენდერის გამოცხადებიდან 35 დღე ღია პროცედურებისთვის, ხოლო 30 დღე - შეზღუდული და სავაჭრო პროცედურებისთვის. თუ ტენდერი გამოცხადებულია ევროპულ სტანდარტზე დაბალ თანხაზე, აღნიშნული პერიოდების შეკვეცა შესაძლებელია 7 დღემდე. წინადადების საბოლოო ბენეფიციარი მფლობელები არ მჟღავნდება სატენდერო წინადადების განთავსებისას.

არ არსებობს განსხვავებული მიდგომები სხვადასხვა მიმწოდებლების მიმართ. თუმცა, არსებობს რამდენიმე გამონაკლისი სიტუაცია, როდესაც შესაძლებელია მონაწილის პირდაპირი დისკვალიფიკაცია. ესენია: სიტუაცია, როდესაც ეკონომიკურმა სუბიექტმა, რომელიც ჩართული იყო ტენდერის მომზადების პროცესში, დროულად ვერ უზრუნველყო სატენდერო შენატანების განხორციელება, გაავრცელა მცდარი ინფორმაცია, ვერ შეძლო მოთხოვნილი პირობების შესრულება, გაკოტრდა, ქრთამის აღების, თაღლითობის, პროფესიული დაუდევრობის, საგადასახადო ან/და სოციალური უსაფრთხოების დარღვევის გამო მოხდა მისი მართლმსაჯულებისთვის გადაცემა. სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაცია შესაძლებელია ასევე მოხდეს არასტანდარტულად დაბალი ფასის გამოც.

სატენდერო წინადადებების შეფასების ეტაპზე წინ არის წამოწეული ინტერესთა კონფლიქტის შეზღუდვა, რაც გულისხმობს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციიდან სატენდერო პროცედურებში ჩართული პირები არ უნდა იყვნენ არაოფიციალურ კავშირში ხელშეკრულების დამდებ მხარესთან.

საარბიტრაჟო პროცედურის შემთხვევები საპრეზიდენტო გადაწყვეტილებების სიაშია და სატენდერო პროცედურების დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნდება საჯაროდ.

სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ტენდერის გამოსაცხადებლად მინიმალური ზღვარია 30 000 ევრო საქონლისთვის, სამუშაოებისა და მომსახურებისთვის. აღნიშნული ზღვარი არ ეხება უშიშროების, უსაფრთხოების, კვლევის, ექსპერიმენტული და განვითარების მომსახურებებს, კულტურულ და საგანმანათლებლო მომსახურებებს, სოციალურს მომსახურებას და სხვა სპეცსამსახურების სფეროში სატრანსპორტო ხელშეკრულებებს.

კანონმდებლობის 133^ა მუხლის მიხედვით, რომელიც მოიცავს სექტორის ბრძანებებს, შესყიდვების კანონი ვრცელდება ისეთ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულებაც ჯდება ევროკავშირის სტანდარტებში, ხოლო 131^ბ მუხლის მიხედვით, რომელიც მოიცავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს მომსახურებებს, შესყიდვების კანონი არ ვრცელდება ისეთ ხელშეკრულებებზე, რომელთა ღირებულებაც არის სვროკავშირის სტანდარტზე დაბალი. 138^ა მუხლის მიხედვით, რომელიც მოიცავს სოციალურ და სხვა სახის მომსახურებებს, მე-6 მუხლის დებულებების შესაბამისად, ხელშეკრულებები ფორმდება ისეთ ღირებულებაზე, რომელიც შეესაბამება ან აღემატება ევროკავშირის სტანდარტს (30 000 ევრო). მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით ზღვრები განისაზღვრება რეგლამენტით პრემიერ მინისტრის მიერ. 2016 წელს ზღვრები შემდეგნაირად იყო განსაზღვრული:

- 135 000 ევრო საქონლისა და მომსახურებისთვის და 5 225 000 ევრო სამშენებლო სამუშაოებისთვის - ზღვრებს ექვემდებარებოდა სახელმწიფო დაფინანსების სექტორის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფო კულტურული დაწესებულებები, სახელმწიფო კინო ინსტიტუტები, ადგილობრივი სამთავრობო უწყებები, საჯარო ფინანსების სექტორი, რომელიც დაფუძნებული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ და საკონტრაქტო სუბიექტები, რომლებიც არ არიან იურიდიული;

- 209 000 ევრო საქონლისა და მომსახურებისთვის და 5 225 000 ევრო სამშენებლო სამუშაოებისთვის - ზღვრებს ექვემდებარებოდა ხელშემკვრელი ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის მითითებით დადებული ხელშეკრულებები;
- 418 000 ევრო საქონლისა და მომსახურებისთვის და 5 225 000 ევრო სამშენებლო სამუშაოებისთვის - ზღვრებს ექვემდებარებოდა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში სექტორული ბრძანებები და ხელშეკრულებები;
- 750 000 ევრო - ზღვარს ექვემდებარებოდა სოციალური და სხვა სპეციალური მომსახურებების სფეროში გაფორმებული ხელშეკრულებები;

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: სატენდერო დოკუმენტაცია ქვეყნდება საჯაროდ ვებ-გვერდზე - <https://bzp.uzp.gov.pl/Default.aspx>. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ვალდებულია განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვების ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია, მონაწილეთა მიმართ უნდა ჰქონდეს ერთნაირი მიდგომა თანასწორობის, პროპორციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპების შესაბამისად. სახელმწიფო შესყიდვების კანონში დაზუსტებულია ის დოკუმენტაცია და ინფორმაცია რომელსაც უნდა შეიცავდეს ტენდერი. სახელშეკრულებო განცხადებები უნდა გამოქვეყნდეს საჯარო ინფორმაციის ბიულეტენში ან ევროკავშირის პუბლიკაციებში. გამოცემა აირჩევა სახელშეკრულებო ღირებულებების შესაბამისად. განცხადება ქვეყნდება საჯარო ინფორმაციის ბიულეტენში, თუ სახელშეკრულებო ღირებულება ევროკავშირის სტანდარტზე დაბალია, ხოლო განცხადება ქვეყნდება ევროკავშირის პუბლიკაციებში, თუ სახელშეკრულებო ღირებულება ტოლია ან მეტია ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტზე. ღია და შეზღუდული სატენდერო პროცედურების შემთხვევაში, სავალდებულოა სახელშეკრულებო პირობების წინასწარი განთავსება ხელშეკრულების დამდები ორგანიზაციის ვებ-გვერდზე. სხვა სახის სატენდერო პროცედურების შემთხვევაში, შემსყიდველს შეუძლია დაექვემდებაროს ზემოთ აღნიშნულ პირობებს, თუმცა მათი შესრულება არ არის სავალდებულო. შემსყიდველი ვალდებულია გაასაჯაროს გამოცხადებულ ტენდერში შესატანი ცვლილებები, პირობების შეცვლისა თუ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. შემსყიდველი ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ქვეყნდება ყველა დასმულ კითხვაზე პასუხი.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ჰქონდეს ყველა გამოცხადებული ტენდერის დოკუმენტაციის არქივი, რაც მოიცავს სატენდერო მოსაკრებლების საჯარო შეტყობინებებს, სატენდერო დოკუმენტაციისა და დამატებების შეტანის

დამადასტურებელ საბუთებს, ბეჭდურ ჩანაწერებს, შეფასების ანგარიშებს, პრეტენდენტებისა და შედეგების ფორმალურ დოკუმენტებსა და საჩივრებს, საბოლოო ხელმოწერილ დოკუმენტებს, დამატებებსა და შენიშვნებს, დავების გადაწყვეტის ოფიციალურ დოკუმენტებს, საბოლოო გადახდის დამადასტურებელ იმ საბუთებს, რომელსაც მოითხოვს ქვეყნის ფინანსური მართვის სისტემა.

არსებობს ჩარჩო ხელშეკრულებების გაფორმების გამოცდილება. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ღირებულება ნაკლებია ევროკავშირის მიერ დადგენილ ზღვარზე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ასეთი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში სახელმწიფო სსყიდვების ბიულეტენში გაასაჯაროს დადებული ხელშეკრულება. ჩარჩო ხელშეკრულების დადება შესაძლებელია ევროკავშირის ზღვარზე ან მის ზემოთ მყოფ სახელმწიფოებო ღირებულებაზეც, თუმცა ამ შემთხვევაში, დადებული ხელშეკრულება ქვეყნდება ევროკავშირის პუბლიკაციებში, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში. ყველანაირი ინფორმაცია, გაფორმებული ხელშეკრულებების, შეფასებებისა და მინი-კონკურსების ჩათვლით, უნდა გამოქვეყნდეს ზემოთ მითითებულ რომელიმე გამოცემაში.

არ არის აუცილებელი გასაჯაროვდეს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ. შემსყიდველი დაწესებულება მოითხოვს მიმწოდებლისგან, რომ ხელშეკრულებაში მიეთითოს ის პუნქტები, რომლის შესასრულებლადც გამოიყენება ქვეკონტრაქტორი და მიეთითოს ქვეკონტრაქტორი კომპანიის დასახელებები. თავდაცვისა და უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულებების შემთხვევაში, შემსყიდველმა შესაძლოა მოითხოვოს მიმწოდებლისგან ანალოგიური ინფორმაცია, ასევე, ცნობა ქვეკონტრაქტორის შესახებ ნებისმიერი ცვლილების შესახებ. შემსყიდველს შეუძლია მიმწოდებელს მოსთხოვოს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება ქვეკონტრაქტორის გარეშე, რა შემთხვევაშიც შემსყიდველი ვალდებულია საკონკურსო განაცხადში მოუთითოს აღნიშნული ინფორმაცია.

შეფასების სისტემა: სატენდერო დოკუმენტაციაში აკრძალულია კომპანიის, ბრენდის ან ნებისმიერი ისეთი დეტალის დასახელება, რომელიც მიანიშნებს რომელიმე კონკრეტულ მიმწოდებელზე ან შესყიდვის ობიექტზე. შესყიდვის ობიექტი არ უნდა აღიწეროს ისეთი ფორმით, რომელიც ზღუდავს თავისუფალ კონკურენციას. გარდა ამისა, სატენდერო დოკუმენტაციაში არ უნდა მიეთითოს კონკრეტული სავაჭრო ნიშნები,

პატენტები ან წარმოშობის წყაროები თუ აღნიშნული ქმედება გამოიწვევს რომელიმე მიმწოდებლის მიმართ ლოიალურ მიდგომას ან სხვა მიმწოდებლებზე მეტ ხელშეწყობას. თუ შემსყიდველი მიუთითებს კონკრეტულ სავაჭრო მარკას, პატენტს ან წარმოშობის წყაროს, აღნიშნულთან ერთად უნდა მიეთითოს სიტყვები „ან მისი ექვივალენტური“. შესყიდვის ობიექტი აღიწერება ევროკავშირის სტანდარტის მიხედვით, ევროპაში აღიარებული ტექნიკური სპეციფიკაციებისა და რეგლამენტის გამოყენებით (30-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

არ არსებობს გამონაკლისები მცირე და საშუალო მეწარმეთათვის და ადგილობრივი კომპანიებისთვის. პოლონეთის სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი და ფუნდამენტური პრინციპია თავისუფალი კონკურენციის არსებობა, პროპორციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. ამასთან, 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესწორების საფუძველზე მოხდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან შეთანხმება, რომლის წევრიც არის ევროკავშირი. შესწორების მიხედვით, შემსყიდველები ვალდებული არიან დაიცვან თავისუფალი კონკურენციის პირობა არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, არამედ ევროკავშირის ფარგლებშიც.

საჯარო შესყიდვების სამსახურმა, სახელმწიფო შესყიდვების კანონის 154-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მოამზადა მდგრადი განვითარების სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისთვის. აღნიშნული გეგმის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაევალა შესყიდვების ნორმატიული დოკუმენტების საერთო სტანდარტის შემუშავება. ეროვნული სამოქმედო გეგმა ითვლება ცალკე დოკუმენტად, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების ხელშეწყობას. „მწვანე შესყიდვების“ ცნება ასევე ადაპტირებულია ისეთ დოკუმენტებში როგორებიცაა: „ენერგეტიკული უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი სტრატეგია - 2020 წლის ხედვა“, „ეფექტური 2020 სახელმწიფო სტრატეგია“, „ინოვაციურობისა და ეკონომიკის ეფექტიანობის სტრატეგია 2012-2020 წლებისთვის“, „ დინამიური პოლონეთი“ და „სოციალური კაპიტალის განვითარების სტრატეგია“. შესყიდვების კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტი ეხება გარემოსდაცვით საკითხებს, სადაც ნათქვამია, რომ სამუშაოების ხელშეკრულებების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მოითხოვოს მიმწოდებლისგან გარემოზე და კლიმატზე ზემოქმედების მაქსიმალური ზღვრები. აღნიშნული მოთხოვნა შესაძლებელია ჩაიდოს სატენდერო დოკუმენტაციაშიც, როგორც შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი. დებულება ეხება ასევე ავტომობილების სახელმწიფო შესყიდვების საკითხსაც.

სახელმწიფო შესყიდვის კანონის 2016 წლის ცვლილებაში შეტანილია შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია ტენდერის მონაწილის დისკვალიფიკაცია.

სატენდერო კომისიამ შესაძლოა დისკვალიფიკაცია მისცეს მონაწილეს იმ შემთხვევაში, თუ:

- პრეტენდენტი არ შეასრულებს ტენდერში მინაწილეობისთვის აუცილებელ პირობებს;
- პრეტენდენტი არის ბოლო 5 წლის განმავლობაში არის/იყო მსჯავრდებული ტერორიზმის, სისხლის სამართლის დანაშაულის, პოლონეთის კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ დაქირავებული ჰყავს/ჰყავდა პოლონეთში არალეგალურად მცხოვრები პირები უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში;
- პრეტენდენტის მმართველი, ზედამხედველი პირი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან პარტნიორი არის/იყო მსჯავრდებული ან ბრალი ედებოდა ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებებში;
- მონაწილეს ბოლო სამი წლის განმავლობაში დაეკისრა ადმინისტრაციული ან სხვა სახის ჯარიმა;
- პოტენციური მიმწოდებელი შეცდომაში შეიყვანს შემსყიდველს, წარადგენს არალეგალურ, არაკანონიერ, მცდარ ინფორმაციას, ან ვერ წარადგენს ტენდერის შერჩევის კრიტერიუმებით განსაზღვრულ საბუთებს/მონაცემებს. თუ მონაწილის მიერ წადგენილი ინფორმაცია შეცდომაში შეიყვანს შემსყიდველს, რამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
- პრეტენდენტი არაკანონიერი გზით მოიპოვებს კონფიდენციალურ ინფორმაციას შემსყიდველი ორგანიზაციის შსახებ;
- პრეტენდენტი ან მისი დასაქმებული მონაწილეობდა სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაში. (ამ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის გარეშე, შესაძლებელია მოიძებნოს პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზებიც);
- პრეტენდენტი გაურიგდა სხვა მონაწილეს, რაც მიზნად ისახავდა კონკურენციის შეზღუდვას. აღნიშნულის დადასტურება შემსყიდველს შეუძლია ბოლო სამი წლის განმავლობაში მოპოვებული მტკიცებულებებით;

- მონაწილე არის პირი, რომელსაც აკრძალული აქვს საჯარო ხელშეკრულებების გაფორმება 2002 წლის 28 ოქტომბრის აქტის საფუძველზე;
- ორი ან მეტი პრეტენდენტი ერთმანეთთან არის დაკავშირებული, რაც არღვევს თავისუფალი კონკურენციის პრინციპს;
- მოხდა ან პროცესშია პრეტენდენტის ლიკვიდაცია სამართალწარმოების გზით;
- პრეტენდენტი არის გაკოტრების ზღვარზე მყოფი დაწესებულება, რომელსაც არ შეუძლია კანონის მიერ დადგენილი გადასახადების გადახდა;
- გასული სამი წლის განმავლობაში კომპანიამ ვერ შეასრულა მასზე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები, დაარღვია შემსყიდველის (როგორც ამჟამინდელი, ისე სხვა შემსყიდველების) უფლებები ან მიაყენა მას ზარალი;
- კომპანია, გასული სამი წლის განმავლობაში, არის მსჯავრდებული დაქირავებულის შრომითი უფლებების დარღვევის მუხლით, აქვს დაკისრებული სანქციები, შეფარდებული აქვს პატიმრობა ან ჯარიმა 3000 პოლონური ზლოტი;
- კომპანია არღვევს საგადასახადო ვალდებულებებს, არ იხდის სოციალური მომსახურებებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის გადასახადებს.

სახელმწიფო შესყიდვების კანონით არ არის განსაზღვრული შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია პრეტენდენტის ავტომატური დიკვალიფიკაცია. თუმცა, 89-ე მუხლი მოუთითებს, თუ როდის არის შესაძლებელი მსურველისთვის ტენდერში მონაწილეობის შეზღუდვა. მაგალითად ასეთი შემთხვევებია: შესყიდვების კანონის დარღვევა, სპეციფიკაციების უგულებელყოფა, სატენდერო წინადადების წარდგენა არასანონიერი გზით, უჩვეულოდ დაბალი ფასის დაფიქსირება, ხარჯთაღრიცხვაში არსებული შეცდომები. ასეთ შემთხვევებში, თუ შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს სამი დღის ვადაში პრეტენდენტმა არ შეასწორა მითითებული ხარვეზები, შესაძლებელია მისი ტენდერიდან ჩამოშორება და ტენდერის ვადის გახანგრძლივება.

სახელმწიფო შესყიდვების კანონი ავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომ გაასაჯაროვონ ყველანაირი საჭირო დოკუმენტი, რომელიც აუცილებელია ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

ევროსტანდარტზე დაბალი ღირებულების ტენდერებისთვის არ არის სავალდებულო სატენდერო კომისიის არსებობა.

ტენდერის საშემფასებლო კომისიაში არსებობს სპეციალური წესები ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად. პიროვნებები, რომლებიც არიან სატენდერო კომისიაში, აქვთ გავლენა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე და გამარჯვებულის გამოვლენაზე, კომისიაში არ დაიშვებიან, თუ:

- ღებულობენ ტენდერში მონაწილეობას მიმწოდებლის პოზიციიდან;
- ტენდერის მონაწილესთან, მის მმართველთან, მონაწილის მხრიდან ტენდერზე პასუხისმგებელ პირთან იმყოფება ნათესაურ კავშირში ან ქორწინებაში;
- გასული სამი წლის განმავლობაში დასაქმებული იყო მიმწოდებელთან ან/და ჰქონდა მასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- არის პრეტენდენტის ნათესავი;
- ბრალდებულია, იყო ბრალდებული კომისიაში ქრთამის აღების, ეკონომიკური კეთილდღეობის საწინააღმდეგო ქმედების ან ფინანსური მოგების მიზნით ჩადენილი დანაშაულისთვის მიცემულნი არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში;

განცხადებების მიღებამდე, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი ვალდებულია გააფრთხილოს კომისიის შემადგენელი წევრები ზემოთ აღნიშნული პირობების შესახებ, ან ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში გადასცეს მათი საკითხი სასამართლოს.

შემსყიდველი დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სატენდერო კომისიის შედგენაზე, თუ სატენდერო ღირებულება უტოლდება ან აღემატება ევროკავშირის სტანდარტს. თუ სატენდერო კომისიის საქიამობა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, ან სატენდერო კომისიის მოთხოვნით დანიშნოს ექსპერტები.

შეფასების შედეგები ქვეყნდება საჯაროდ. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ყველა მონაწილეს შეატყობინოს:

- გამარჯვებული კომპანიის სახელი, გვარი, კომპანიის დასახელება, მისამართი და შეფასების საერთო ქულა;
- იმ მონაწილეების დასახელება, რომელიც იქნა დისკვალიფიცირებული;
- მონაწილის შესახებ, რომლის შეთავაზებაც უარყოფილია, უარყოფის მიზეზებისა და კანონმდებლობასთან შეუსაბამო დეტალების ჩათვლით;

- მონაწილეების შესახებ, რომელთა წინადადებებიც განიხილეს და აღარ მიიწვიეს შეფასების შემდეგ ეტაპზე;
- სატენდერო პროცედურების შეწყვეტის, შეჩერების ან გადავადების შესახებ, შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლებით;

შემსყიდველი ვალდებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე. გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს თითოეული მონაწილის საბოლოო შეფასების ქულებს. მინიჭებული ქულების დასაბუთების დოკუმენტაცია საჯარო ინფორმაციაა, არ ქვეყნდება საიტზე, მაგრამ შესაძლებელია მისი გამოთხოვა. ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში შემსყიდველი ორგანიზაცია აქვეყნებს საშემფასებლო ინფორმაციას საჯარო შესყიდვების ბიულეტენში ან ევროკავშირის პუბლიკაციებში.

სახელმწიფო შესყიდვების კანონი აზუსტებს მდგომარეობას, როდესაც შესაძლებელია ტენდერის გაუქმება. ტენდერის გაუქმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:

- ტენდერს არ ჰყავს არცერთი მონაწილე;
- ტენდერში წინადადება წარადგინა ორზე ნაკლებმა პრეტენდენტმა;
- მონაწილის მიერ წარდგენილი წინადადების ფასი მეტია იმ თანხაზე, რომლის გამოყოფაც შემსყიდველს შეუძლია კონკრეტული პროდუქციის, სამუშაოს ან/და მომსახურების შესაძენად;
- წარმოდგენილია იგივე ფასიანი დამატებითი წინადადებები;
- წარმოიშვა სიტუაცია, როდესაც საჭიროა სატენდერო დოკუმენტაციაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც არსებითად უცვლის ტენდერს მიმართულებას და რომელთა წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელი იყო;
- ვერ მოხერხდა შემსყიდველისთვის წინასწარ შეპირებული გრანტის ან დაფინანსების გადაცემა;
- თუ ტენდერში იმაზე ნაკლები მონაწილეა, ვიდრე ეს სატენდერო პირობებით იყო განსაზღვრული.

თავისუფალი კონკურენცია: იმისათვის, რომ ტენდერის შესახებ ინფორმაცია ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს, შემსყიდველი აქვეყნებს მას საკუთარ ვებ-გვერდზე და საჯარო პლატფორმებზე (სახელმწიფო შესყიდვების ბიულეტენში ან

ევროკავშირის პუბლიკაციებში). აღნიშნული ვალდებულება ეხება როგორც ღია, ისე შეზღუდულ და სავაჭრო სატენდერო პროცედურებს.

შეზღუდულ სატენდერო პროცედურებში მინიმალური მონაწილეების რაოდენობაა 5, ხოლო მაქსიმალური - 20. სავაჭრო და ღია კონკურენტულ პროცედურებში პროცედურებში საჭიროა მინიმუმ სამი მონაწილე.

ღია პროცედურებისთვის მინიმალური ხანგრძლივობაა 7 დღე საქონლისა და მომსახურების შესასყიდად, ხოლო 14 დღე - სსამშენებლო სამუშაოების შესასყიდად. თუ ტენდერის სავარაუდო ღირებულება ევროკავშირის სტანდარტზეა ან მასზე მაღალია, მაშინ ტენდერის მინიმალური ხანგრძლივობაა ევროკავშირის პუბლიკაციაში გამოქვეყნებიდან 35 დღე. შესაძლებელია ხანგრძლივობის შემცირება 15 დღემდე, თუ წინასწარ გამოქვეყნდა ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ტენდერში მონაწილეობისთვის, ხოლო სატენდერო დოკუმენტაცია გამოქვეყნდა 12 თვით ადრე გამოქვეყნდა ევროკავშირის პუბლიკაციაში და მყიდველის პროფილზე იყო განთავსებული მინიმუმ 35 დღის განმავლობაში.

შეზღუდულ და სავაჭრო-კონკურენტულ პროცედურებზეც ვრცელდება 7 დღიანი შეზღუდვა, იმ განსხვავებით, რომ ასეთი პროცედურების შემთხვევაში ევროსტანდარტის ღირებულების ტენდერებისთვის მინიმალური ხანგრძლივობაა ევროკავშირის პუბლიკაციაში გამოქვეყნებიდან მინიმუმ 30 დღე, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის დადგომის შემთხვევაში ხანგრძლივობა შესაძლებელია შეიზღუდოს 15 დღემდე.

ინსტიტუციონალური ღონისძიებები: სახელმწიფო შესყიდვების კანონი ადგენს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც არ არის აუცილებელი სახელმწიფო შესყიდვების კანონით ხელმძღვანელობა. ასეთი შემთხვევებია:

- სპეციალური პროცედურები, რომლებიც შემსყიდველს ავალდებულებს შესყიდვების კანონისგან განსხვავებული პირობებით, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო ორგანიზაციის აქტში, ან პოლონეთისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნის ერთობლივ შეთანხმებაში, ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებს შორის ერთობლივი პროექტის განხორციელების მიზნით;
- ხელშეკრულებები, რომლებიც სრულად არის დაფინანსებული საერთაშორისო ორგანიზაციის ან საერთაშორისო დაფინანსების ინსტიტუტის მიერ;

- ხელშეკრულებები, რომლებსაც მინიმუმ 50%-ით აფინანსებს საერთაშორისო ორგანიზაცია ან მისი დაფინანსებით მოქმედი ინსტიტუტი;
- პოლონეთის ეროვნული ბანკის შესყიდვები;
- ეროვნული ეკონომიკური ბანკის სპეციფიური ხელშეკრულებები;
- საარბიტრაჟო ან შრიგების მომსახურებები პოლონეთის ეროვნული ბანკისთვის;
- კვლევისა და განვითარების მომსახურებები (გამონაკლისებით);
- ზოგიერთი იურიდიული მომსახურება;
- აუდიოვიზუალური ან რადიომედისის მომსახურების მიწოდების მიზნით პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტების შექმნა;
- საკუთრების უფლებისა და სხვა მსგავსი უფლებების შექმნა შენობა-ნაგებობებისთვის;
- ევროპის საფინანსო სტაბილურობის მექანიზმისა და ევროპული სტაბილურობის მექანიზმის, სესხებისა და კრედიტების სამოქალაქო დაცვისა და პრევენციის სამსახურებთან დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ან ოპერაციების, გაყიდვის, შექმნის ან გადაცემის სპეციფიკური ფინანსური მომსახურება (პაციენტის სამედიცინო ტრანსპორტით გადაყვანის მომსახურების გარდა);
- სათბურის აირებისა და სხვა ნივთიერებების ემისიის უფლების შესყიდვა;
- ეროვნული ეკონომიკის ბანკის მომსახურების შესყიდვა;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- საიდუმლო ინფორმაციის დაცვის შესახებ დებულების შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა გაფორმებაც აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის;
- საბრძოლო იარაღებისა და მასალების შესყიდვა;
- საჯარო დოკუმენტების წარმოებისა და გავრცელების შესახებ ხელშეკრულებები, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიული მნიშვნელობის ფორმებისა და აქციზური მარკების შესყიდვა;
- საჯარო სახსრებიდან სუბსიდიების გამოყოფა;
- ხელშეკრულებების გაფორმება 30 000 ევროზე მეტი ღირებულებით, რომელთა მთავარი მიზანია საზოგადოებრივი სატელეკომუნიკაციო ქსელების ამ საჯარო სატელეკომუნიკაციო ქსელების ექსპლუატაციის ან საჯარო სატელეკომუნიკაციო

ქსელის საშუალებით საჯარო სატელეკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველყოფა;

- მარაგების, მომსახურების ან სამუშაოების შეძენა ცენტრალური საკონტაქტო ორგანოდან ან მის მიერ შერჩეული ეკონომიკური ოპერატორებისგან;
- ისეთი ხელშეკრულებები, რომლებსაც სექტორული ბრძანებების საფუძველზე გადაეცა შედეგი მომსახურებები: საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სისტემებთან დაკავშირებული დამატებითი დამატებითი მომსახურება; ფინანსური მომსახურების ჩათვლით, კერძოდ, საფოსტო გზავნილებისა და საფოსტო გზავნილების ტრანსფერი ან ლოჯისტიკური მომსახურება;
- იმ ორგანიზაციის შესყიდვები, რომელიც ფინანსდება საჯარო ორგანიზაციის მიერ და ასრულებს ამ ორგანიზაციის მიერ დაკისრებულ ფუნქციებს (წესი ვრცელდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებზე და არ იგულისხმება ყველა მსგავსი სახის შესყიდვა და შემსყიდველი);

სახელმწიფო შესყიდვების კაბობი გამოყოფს შესყიდვის შემდეგ სახეებს: გამოქვეყნებული სავაჭრო პროცედურები; გამოუქვეყნებელი კონკურენტული პროცედურები; ერთჯერადი შესყიდვის პროცედურები; ფასის მოთხოვნით ჩატარებული შესყიდვის პროცედურები; ინოვაციური პარტნიორობის ან ელექტორული სატენდერო პროცედურები, რომლებიც ცხადდება კანონით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში.

ქვეყანაში არსებობს სპეციალური ეროვნული სააპელაციო პალატა, რომელიც განიხილავს შესყიდვების სფეროში არსებულ სარბიტრაჟო სკითხებს. მის ძირითად ამოცანებსა და სტრუქტურად განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების კანონის 172-ე მუხლი.

დავების გადაწყვეტა: თუ რომელიმე პროცედურა გასაჩივრდება, შემსყიდველს არ აქვს უფლება გააფორმოს ხელშეკრულება, სანამ პალატა არ მიიღებს გადაწყვეტილებას და არ დაასრულებს სააპელაციო პროცედურებს. ხელშეკრულების დადების აკრძალვის შემთხვევასი შემსყიდველს შეუძლია გაასაჩივროს პალატის გადაწყვეტილება და მოითხოვოს ბანის გაუქმება. პალატას შეუძლია ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული აკრძალვა, თუ აღნიშნული ხელშეკრულების შეუსრულებლობამ შესაზლოა უარყოფითი გვალენა მოახდინოს საზოგადოებრივ ინტერესებზე, რომელიც ყველა ინტერესზე უპირატესია. სასამართლო ვალდებულია საჩივრის მიღებიდან 15 დღის

ვადაში გამოიტანოს განაჩენი, ხოლო მის მიერ გამოტანილი განაჩენი მხარეებს უნდა გაეგზავნოს გამოცემიდან არაუმეტეს 3 დღეში, თუმცა საარბიტრაჟო სასამართლო არ არის ვალდებული გაასაჯაროს აღნიშნული დოკუმენტები, რადგან ზოგიერთი მათგანი შესაძლოა იყოს დახურული სხდომის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება.

§1.4. უნგრეთი

უნგრეთის სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლის CXLIII აქტით. დამატებითი რეგულაციები შეტანილია სახელმწიფო განკარგულებებში. სახელმწიფო შესყიდვების მაკონტროლოებელი ორგანოა სახელმწიფო შესყიდვების სამდივნო, რომელიც არის ეროვნული განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული სამსახური.

შესყიდვის მინიმალური ზღვრები ტენდერის გამოსაცხადებლად შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- საქონელი - 15 მლნ უნგრული ფორნიტი (50 000 EUR)
- სამუშაოები - 25 მლნ უნგრული ფორნიტი (80 000 EUR)
- მომსახურებები - 15 მლნ უნგრული ფორნიტი (50 000 EUR)

შეზღუდული პროცედურებისთვის მონაწილეთა მინიმალური რაოდენობაა 5, ხოლო სავაჭრო პროცედურებისთვის - 3. ტენდერის მინიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება ტენდერის გამოცხადებიდან 35 დღით ღია პროცედურებისთვის, ხოლო 30 დღით შეზღუდული და სავაჭრო პროცედურებისთვის. წინასწარი შეტყობინებისა და საფუძვლის გათვალისწინებით, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდების შემოკლება.

არსებობს განსაკუთრებული მიდგომების რამდენიმე შემთხვევა. მცირე და საშუალო მეწარმეებს ეძლევათ უპირატესობები და გარემოსდაცვითი ღონისძიებებიც შესაძლებელია პრიორიტეტის მიხედვით წინა პლანზე დადგეს. გარდა ამისა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მონაწილის მიერ არასათანადოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ტენდერით მოთხოვნილი პირობების არასრულფასოვნად დაკმაყოფილებით/ დაუკმაყოფილებლობით, არასტანდარტულად დაბალი ფასის შეთავაზებით, არასტანდარტული ვალდებულებებით და ა.შ.

წინადადებების შეფასების ეტაპზე განიხილება სატენდერო კომისიის წევრების პრეტენდენტებთან ინტერესტა კონფლიქტის საკითხიც.

საარბიტრაჟო პროცესის შემთხვევაში არსებობს გადასახადი, რომელიც დამოკიდებულია პროცედურის სახეობაზე. გადაწყვეტილებები ქვეყნდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: სატენდერო დოკუმენტაციიდან საჯაროა შემდეგი დოკუმენტები: სინასწარი შეტყობინება; გაფრთხილება ღია პროცედურის დაწყების შესახებ; კომპანიების მოწვევა შეზღუდული, სავაჭრო, კონკურენტული პროცედურების დასაწყებად, გარდა პირდაპირი მიწვევისა, რომელშიც მითითებულია შეზღუდული და სავაჭრო პროცედურების სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული ვადები; ინფორმაცია პროცედურების დაწყებამდე წინასწარი კვალიფიკაციის წარმოდგენის შესახებ; კონკურსის განაცხადი; პროცედურული გაფრთხილებები; კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია; ხელშეკრულების გაფორმების შესახებ არსებული ინფორმაცია და მისი განახლების შემთხვევაში ხელშეკრულებაზე დამატებული დოკუმენტაცია.

აღნიშნული დოკუმენტები საჯაროდება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ პლატფორმაზე: <http://www.kozbeszerzes.hu/adatbazis/keres/hirdetmeny/>

აუცილებელია დოკუმენტების მინიმუმ 5 წლიანი არქივის არსებობა.

ჩარჩო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამოაქვეყნოს საყოველთაო შენიშვნა პროცედურის სედეგებზე, რომელიც ეხება დინამიური შესყიდვის საფუძველზე გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებას. არსებული ხელშეკრულებების რეესტრი გამოქვეყნდება წლის ბოლო კვარტლის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

აუცილებელია გამოქვეყნდეს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ. თუ ქვეკონტრაქტორი ასრულებს მიმწოდებელზე დაკისრებული ვალდებულების 40%-ზე ნაკლებს, არ არის აუცილებელი მისი ვინაობის გამჟღავნება, ამ შემთხვევაში, პრეტენდენტს უბრალოდ შეუძლია თავის წინადადებაში მიუთითოს, რომ მასზე დაკისრებული მოვალეობის გარკვეულ ნაწილს შეასრულებს ქვეკონტრაქტორი. შემსყიდველმა ორგანიზაციამ ან ტენდერის მონაწილეებმა უნდა დააზუსტონ თავიანთ დოკუმენტაციაში, არსებობს თუ არა მოთხოვნა ან აუცილებლობა ვალდებულებების

ქვეკონტრაქტორისთვის გადასაცემად. თუ ტენდერი შედგება ერთზე მეტი ეტაპისგან, ქვეკონტრაქტორის არსებობა დაუშვებელია.

შეფასების სისტემა: ტენდერის ტექნიკური სპეციფიკაციები არ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც შეზღუდავს სამართლიან კონკურენციას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობას. მათზე ვრცელდება თანაბარი მიდგომები და თუ შესაძლებელია ხელი ეწყობათ მაღალი ღირებულების ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. რაც შეეხება ადგილობრივ კომპანიებს, მათთვის არ არსებობს რაიმე განსაკუთრებული მიდგომა. ისინი ისეთივე სიმკაცრითა და აწესებით განიხილებიან, როგორც სხვა კომპანიები.

მწვანე შესყიდვასთან დაკავშირებით შემსყიდველი ვალდებულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში დააზუსტოს თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება მონაწილე, იქნება ეს ეკონომიკური თუ გარემოსდაცვითი მიმართულების პრიორიტეტები.

მონაწილის ტენდერიდან დისკვალიფიკაცა შესაზღვრებელია იმ შემთხვევაში, თუ:

- მონაწილეს აქვს კრიმინალური ისტორია;
- მონაწილეს გაკოტრების ზღვარზეა, შეზღუდული აქვს ბიზნესფუნქციონირების არეალი, გადასახადების გადაუხდელობის გამო მისი საქმე გადაცემულია სასამართლოში;
- მონაწილემ წინადადება წარადგინა დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ;
- პრეტენდენტი არ აკმაყოფილებს ტენდერით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო, ეკონომიკურ თუ სხვა სახის მოთხოვნებს;
- პრეტენდენტმა დააფიქსირა არასტანდარტულად დაბალი ფასი, რომლის ადეკვატურობასაც ვერ დაამტკიცებს.

ტენდერის შედეგების სსახებ გადაწყვეტილებას ყოველთვის იღებს შესყიდვების კომისია, რომლის წევრებიც ვალდებული არიან დაიცვან ინტერესთა კონფლიქტის შესახებ არსებული წესები. მათ არ აქვთ ტენდერი მოსამზადებელ და შემდგომ პროცედურებში მონაწილეობის მიღების უფლება, თუ შემჩნეულნი არიან მონაწილეებთან არაკანონიერ შეთანხმებაში, თუ არიან მონაწილეების ახლო ნათესავები და ა.შ.

შეფასების შედეგები არ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. შესყიდვების კანონის 76-ე მუხლის მიხედვით, ეკონომიკურ სუბიექტებს არ შეუზღიათ დამალონ თავიანთი

დასახელება, მისამართი და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები, თუ აქვთ სურვილი რომ ტენდერში მიიღონ მონაწილეობა, თუმცა მათ აქვთ უფლება მოითხოვონ საკუთარი ინფორმაციის ინკოგნიტოდ დატოვება.

შესყიდვების კანონი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია ტენდერის ჩაშლა/გაუქმება, მაგალითად: თუ ტენდერში არავინ მიიღო მონაწილეობა; ტენდერში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე მიმწოდებელმა, თუმცა მათ წარმოდგენილი ჰქონდათ არასრულყოფილი ინფორმაცია; პრეტენდენტი დარეგისტრირდა მიმწოდებლად ტენდერის პროცედურული ვადის გასვლის შემდეგ; თუ დაიდო ხელშეკრულება სავაჭრო პროცედურის ჩატარების შემდგომ, რომლის შესახებაც ინფორმაცია არ იყო წინასწარ ხელმისაწვდომი; სატენდერო პროცედურების დასრულებამდე არაკანონიერად დაიდო ხელშეკრულება, რაც არღვევს თავისუფალი კონკურენციის პირობას და სახელმწიფო შესყიდვების რიგ დებულებებს, აღნიშნულმა კი გამოიწვია მიმწოდებლის არასამართლიანი გამარჯვება.

თავისუფალი კონკურენცია: კანონი ავალდებულებს შემსყიდველს გამოაქვეყნოს ყველაწილი ინფორმაცია ტენდერის შესახებ საჯარო შესყიდვების ბიულეტენში ან საჯარო შესყიდვების ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც იმართება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ.

შეზღუდულ პროცედურებში აუცილებელია მონაწილეობდეს მინიმუმ 5 პრეტენდენტი, ხოლო სავაჭრო და კონკურენტუ პროცედურებში აუცილებელია მინიმუმ 3 მონაწილის არსებობა.

ღია პროცედურული ტენდერების ხანგრძლივობა განისაზღვრება მისი გამოქვეყნებიდან მინიმუმ 30 დღის ვადით, ტენდერის ელექტრონულად გამოცხადების შემთხვევაში ვადა მცირდება 30 დღემდე, ხოლო თუ ტენდერის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არის გამოქვეყნებული, ვადა შესაძლებელია შემცირდეს 15 დღემდე. შეზღუდული და სავაჭრო-კონკურენტული პროცედურების გამოცხადებიდან მინიმუმ 30 დღე უნდა ჰქონდეს ყველა მიმწოდებელს შესაძლებლობა, რომ შევიდეს ტენდერში. დაჩქარებული პროცედურებისთვის შესაძლოა 10 დღეც გამოიყოს. 25 დღე გრძელდება ტენდერი, რომელიც გამოცხადებულია ელექტრონულად, ხოლო 10 დღის ვადით განისაზღვრება პროცედურები, რომლებიც წინასწარ არის გამოქვეყნებული.

ინსტიტუციონალური ღონისძიებები: ზოგიერთი სახის შესყიდვის დროს, საბიუჯეტო ორგანიზაციები არ იყენებენ სახელმწიფო შესყიდვას/არ ექვემდებარებიან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონს. ასეთი შესყიდვებია: თავდაცვისა და უსაფრთხოების მომსახურებების შესყიდვა, სამხედრო ძალების განლაგება, საჯარო ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების შესყიდვა, სახელმძღვანელოების, საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობები და ჰუმანიტარული დახმარებები.

სახელმწიფო შესყიდვების კანონს ექვემდებარება შემდეგი ორგანიზაციები: სამინისტროები, ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია, საჯარო ფონდი, ადგილობრივი მთავრობა, ედგილობრივი და ეროვნული თვითმმართველობები, ადგილობრივი სამთავრობო ასოციაციები, რომლებიც ახორციელებენ რეგიონული განვითარებისთვის საჭირო შესყიდვებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ორგანიზაციები, რომლებიც საქმიანობენ კომუნალურ სფეროში.

არსებობს შესყიდვის შემდეგი სახეობები: შეზღუდული, ინოვაციური პარტნიორობის, სავაჭრო, კონკურენტული და სავაჭრო (წინასწარი შეტყობინების გარეშე) პროცედურები.

არსებობს საჯარო შესყიდვების საარბიტრაჟო საბჭო, ასევე სახელმწიფო შესყიდვების სამდივნო და ეროვნული განვითარების სამინისტრო, რომლებიც სრულად მეთვალყურეობენ და უზრუნველყოფენ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

დავების გადაწყვეტა: არსებობს საარბიტრაჟო გადასახადი, რომელიც დადგენილია კომპეტეტური მინისტრის მიერ. ადმინისტრაციული მომსახურების გადასახადი შესყიდვის პროცედურებში, ფასდათმობის პროცედურებსა და გეგმიურ კონკურსებში, რომელთა სავარაუდო ღირებულება შეესაბამება ან აღემატება ევროკავშირის სტანდარტს, დაფუძნებულია შესყიდვის ღირებულებაზე: სააპელაციო სასამართლოში საჩივრის შეტანის ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო სატენდერო ღირებულების 0,5%-ს და მოქცეულია ზღვრებში 200 000-დან 25 მლნ უნგრულ ფორნიტამდე. ისეთ შესყიდვაში, რომლის ღირებულებაც ევროკავშირის სტანდარტს ჩამოუვარდება, სააპელაციო სასამართლოში საჩივრის შეტანის ღირებულება შეადგენს სავარაუდო სატენდერო ღირებულების 0,5%-ს და მოქცეულია ზღვრებში 200 000-დან 6 მლნ უნგრულ ფორნიტამდე.

სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე იკრძალება ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. აკრძალვის გაუქმება შეუძლია მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების საარბიტრაჟო საბჭოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი დაადასტურებს სხვა მიმწოდებლის კეთილსინდისიერებას და ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობას. საარბიტრაჟო საბჭო ვალდებულია განაჩენი გამოიტანოს საჩივრის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში და გამოაქვეყნოს იგი საჯაროდ.

თავი 3. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის შედეგები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

§3.1. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის არსებული მდგომარეობის ანალიზი

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვანია ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის, ვინაიდან ეფექტიანი სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საშუალებით შესაძლებელია დაიზოგოს საჯარო სახსრები და თავიდან იქნას აცილებული თანხების არამიზნობრივი, არაეკონომიური ხარჯვა.

სახელმწიფო შესყიდვები წარმოადგენს კორუფციისადმი ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად სფეროს. არაეფექტიანი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა აფერხებს ბაზარზე კონკურენციას რაც იწვევს საქონლის, მომსახურების მიწოდებისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გადახდილი თანხის ზრდას, ეს კი გავლენას ახდენს სახელმწიფო ხარჯების გაუმართლებელ ზრდაზე. გარდა ამისა, სახელმწიფო შესყიდვების ხვედრითი წილის მაჩვენებელი მშპ-ში საკმაოდ მაღალია და დაახლოებით 10%-ის ფარგლებში მერყეობს.

საქართველოში დანერგილია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (eProcurement), რომელიც გაეროს საჯარო სამსახურის კონკურსზე ნომინაციაში – „კორუფციის პრევენცია და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა“, ერთ-ერთ საუკეთესოდ იქნა აღიარებული. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორმები სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ქმედითობის გაზრდისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (eProcurement) მოდერნიზების თვალსაზრისით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად მიღებულ იქნა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე, ეფექტიანი და სამართლიანი საჯარო შესყიდვების სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად ამარტივებს შესყიდვების პროცესს. გარდა ამისა, იგი უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების პროცესის ყველა ეტაპის გამჭვირვალობას და ამცირებს შესყიდვების პროცესში კორუფციული გარიგებების რისკებს. eProcurement-ის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს საჯარო

შესყიდვების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, დაწყებული შესყიდვების წლიური გეგმებიდან, მიმწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებების და ფინანსური ტრანსაქციების ჩათვლით.

ასევე, გარკვეულ ანტიკორუფციულ ღონისძიებად ითვლება ამ ახალ ელექტრონულ სივრცეში ღია კონკურენტული გარემო, სადაც ნებისმიერ ბიზნესმენს პლანეტის ნებისმიერი კუთხიდან შეუძლია, მიიღოს მონაწილეობა შეუფერხებლად ქართულ სახელმწიფო შესყიდვებში. უნდა აღინიშნოს შესყიდვის ახალი პროცედურებისა და საშუალებების დანერგვა: სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისათვის ახალი ელექტრონული კითხვარების გენერირება და უნიფიცირებული ფორმების გამოყენება; კონკურსის ახალი პროცედურა; საგრანტო კონკურსის ახალი პროცედურა; „ღია პროცედურა“ - ელექტრონული ტენდერი რევერსული აუქციონის გარეშე, რომელიც, გამოყენებული ახალი მიდგომებით, გარკვეულწილად კორუფციული გარიგებების შესაძლებლობას ამცირებს არამარტო სახელმწიფო, არამედ ასევე ბიზნეს-სექტორში; 2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირველი ფაზის შესაბამისად, დაინერგა ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი პროცედურა (TEP) – ელექტრონული ტენდერი პრეკვალიფიკაციით (Restricted Procedure). 2018 წელს eProcurement სისტემას დაემატა საჯარო-კერძო თანამშრომლობის/კონცესიების წარმართვის ახალი ელექტრონული მოდული (PPP).

ამასთან, გამარტივებული შესყიდვების შემცირების მიზნით, 2015 წელს გატარებული საკანონმდებლო რეფორმის შედეგად, ქვეყნის ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება წინსწრებით შეათანხმოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩაშენებული გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების ელექტრონული მოდულის (SMP) გზით.

2016 წელს სააგენტოს ვებ-პორტალს დაემატა ახალი სერვისი - ელექტრონული კატალოგი (eMarket), რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შესყიდვის ობიექტებისა და პოტენციური მიმწოდებლების შესახებ შექმნილ კატალოგს. კატალოგი მოიცავს ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის, მიმწოდებლების, შესყიდვის

კატეგორიების (CPV კოდები), მწარმოებელი ქვეყნის, სახეობა/მოდელის, სპეციფიკაციების, ფასებისა და მიწოდების პირობების შესახებ. გარდა ამისა, ბოლო წლებში დაინერგა დავების განხილვის საბჭოს ელექტრონული მოდული, რამაც საჯარო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის ყოველი ეტაპი უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გახადა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) საქართველოს შეფასების მეოთხე რაუნდის ანგარიშის თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ინარჩუნებს სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობისა და ღიაობის ერთ-ერთ უმაღლეს დონეს მსოფლიოში, შესყიდვების ელექტრონული პლატფორმის გამოყენების მეშვეობით“.

ამასთან, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა 2017 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შემუშავებულმა და შემოღებულმა სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ერთიანი ეთიკური სტანდარტების შექმნამ, რომელიც ყოველ შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს. აღნიშნული, მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირებისთვის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით სამოძილო ქცევის წესების დანერგვას. ეთიკური ქცევის პროფესიული სტანდარტები უნივერსალურია და აერთიანებს პატიოსნებისა და ნდობის, კანონმორჩილების, მიუკერძოებლობისა და კეთილსინდისიერების, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის, კონფიდენციალურობის, გულისხმიერებისა და წინდახედულობის, გამჭვირვალობისა და ღიაობის, ანგარიშვალდებულების, პროპორციულობის და პროფესიონალიზმის პრინციპებს.

ზემოხსენებულზე დაყრდნობით, შესყიდვების სფეროში ძირეული რეფორმები უკვე გატარებულია, მაგრამ დამატებითი ძალისხმევაა საჭირო სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწის, ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან დაახლოების, ელექტრონული სისტემის სრულყოფა-მოდერნიზების, შესყიდვებში ჩართული და პოტენციური მომხმარებლების ცნობიერების ამაღლების, დავების განხილვის საბჭოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ინსტიტუციურად გაძლიერების, მთელი ამ პროცესების გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის მაღალი ხარისხის შენარჩუნების მიზნით.

კანონმდებლობის დახვეწის კუთხით მნიშვნელოვანია მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სახელმწიფო შესყიდვები, რომლებზეც არ ვრცელდება „სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი და მოხდეს გამარტივებული შესყიდვების რაოდენობის შემცირება. გარდა ამისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები და ამ მხრივ, ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოების პროცესი, რომელიც მოიცავს როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ რეფორმას. საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 31 მარტს №536 განკარგულებით დაამტკიცა „სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი“, რაც წარმოადგენს რეფორმების ქვაკუთხედს, ერთგვარი „საგზაო რუკაა“ სახელმწიფო შესყიდვების სფეროს ევროკავშირის მიდგომებთან და სტანდარტებთან დაახლოების კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია დამატებითი ნაბიჯების გადადგმა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის სრულყოფის მიზნით, ისევე როგორც ამ სისტემის მომხმარებელთა ინტენსიური სწავლება და ცნობიერების ამაღლება.

2018 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ე.წ. „ღია მონაცემების სტანდარტზე“ გადაყვანილი, საჯარო ტენდერებზე აგრეგირებული ინფორმაციის ახალი ვებ-გვერდი opendata.spa.ge გაუშვა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მსოფლიო ბანკისა და DFID-ის მხარდაჭერით აქტიურად მუშაობს Open Contracting Data Standard (OCDS) ფართო დანერგვისათვის. OCDS გულისხმობს ღია მონაცემთა კუბლიკაციის ახალი სტანდარტის შემოღებას, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაქტის ყველა ეტაპზე (დაგეგმარებიდან განხორციელებამდე), სტრუქტურული ინფორმაციის გამოქვეყნებას. ამჟამად, სპეციალურ ვებ-გვერდზე, გამოქვეყნებულია 2011-2018 წლის მონაცემები სპეციალურ machine readable, JSON ფორმატში.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს თანამედროვე ციფრულ ეპოქაში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველყოფა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო სერვისების მიწოდებისას, ელექტრონული ხელმოწერისთვის იურიდიული ძალის მინიჭებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი 2018 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა, რამაც ხელი შეუწყო კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის დანერგვას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

დახვეწას საჭიროებს ეკონომიკური ოპერატორების შავ სიაში შეყვანის პროცედურები. აღნიშნული უნდა მოიცავდეს არამარტო ორგანიზაციის სახელით ან მისი მეშვეობით (გამოყენებით) ან/და მის სასარგებლოდ, არამედ ასევე მისი მენეჯმენტის მხრიდან კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენას.

სათანადო ყურადღება დაეთმობა შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამისი პასუხისმგებელი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათ შორის, ანტიკორუფციული მიმართულებით.

ამოცანები:

- სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით;
- სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განმხილველი ორგანოს ინსტიტუციური რეფორმირება მისი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად;
- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შემდგომი მოდერნიზება და ახალი ელექტრონული სერვისების დამატება ხელმისაწვდომობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.¹⁵

საქართველო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, მონაწილეობს გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში. გაეროს წევრმა ქვეყნებმა 2015 წელს შეიმუშავეს მდგრადი განვითარების 17 მიზანი, რომლებიც ემსახურება სიღარიბის აღმოფხვრას, თანასწორობისა და სამართლიანობის მიზნების მიღწევას 2030 წლამდე. აღნიშნულ მიზნებს შორის არის კორუფციის აღმოფხვრა საერთაშორისო მასშტაბით. მიზნის მისაღწევად საქართველოში ჩამოყალიბდა ანტიკორუფციული სტრატეგია, რომელიც ეფუძნება 2018-2020 წწ. სამთავრობო პროგრამას, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, ასევე წინა სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების შეფასებისა და არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების ანალიზს. სამუშაო პროცესი წარმართა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის 16 სტრატეგიული პრიორიტეტის საფუძველზე, რომელიც მომზადდა ექსპერტთა დონის ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფების მიერ გაწეული აქტიური სამუშაოს შედეგად.

¹⁵ საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია 2019, გვ.19 - გვ.26

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია განახლებადი დოკუმენტია და მისი განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა. სტრატეგიის განახლება ხდება მათ შორის ისეთ წყაროებზე დაყრდნობით, როგორცაა სხვადასხვა სპეციალიზებული საერთაშორისო ინსტიტუტების ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი (OECD-ACN), გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) და სხვ., ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები, ანგარიშები, შეფასებები და კვლევების შედეგები, სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის საფუძველზე, საქართველოს მთავრობა სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად, შეიმუშავებს და ამტკიცებს სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას 2 წლის ვადით. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული ნაბიჯები სტრატეგიაში იდენტიფიცირებული მიზნების მისაღწევად, მათი შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები/ორგანიზაციები, რისკები, ფინანსური რესურსის წყარო და განხორციელების ვადები. სამოქმედო გეგმა ახლდება ანტიკორუფციულ სტრატეგიასთან ერთად ანტიკორუფციული საბჭოს მიერ და მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

ფუნდამენტური ანტიკორუფციული რეფორმების შედეგად დღეს საქართველომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია, ხოლო ევროპის ქვეყნებს შორის კორუფციის დონის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზალიბერალიზაციის ორივე ფაზის ფარგლებში საქართველომ წარმატებით შეასრულა ყველა რეკომენდაცია, რაც კორუფციის პრიორიტეტის ფარგლებში მიზნად იყო დასახული.

გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო მმართველობის სისტემისა და კორუფციისაგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად საქართველოში გატარებული მთავრობის კომპლექსური პოლიტიკა და თამამი ნაბიჯები წარმატებული და შედეგიანი იყო. კერძოდ, განვითარდა სახელმწიფო შესყიდვების სფერო, გაიზარდა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობა, გარდაიქმნა საჯარო სერვისების მიწოდების სფერო, გაუმჯობესდა საჯარო ფინანსების სისტემა, განვითარდა საბაჟო და

საგადასახადო სფერო, გაიზარდა საჯარო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი და საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების ნდობა, შემუშავდა საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონი, რომელიც ფუნდამენტურად ცვლის, უფრო მოქნილსა და ეფექტურს ხდის საჯარო სამსახურს. ანტიკორუფციული პოლიტიკის თვალსაჩინო წარმატება არაერთი საერთაშორისო კვლევით არის დადასტურებული.

კორუფციის პრევენციის კუთხით ხაზი უნდა გაესვას ბიუჯეტის შემუშავების გამჭვირვალობისა და ბიუჯეტის მონიტორინგის სისტემის დანერგვას, როგორც ერთ-ერთ წარმატებულ რეფორმას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მთავრობის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება მუნიციპალიტეტების დონეზე ანტიკორუფციული მექანიზმების განხორციელება და ანტიკორუფციული პოლიტიკის დეცენტრალიზაცია. არსებული მონაცემებით, ანტიკორუფციულ პოლიტიკაში ჩართულია მხოლოდ მუნიციპალიტეტების ნაწილი. შესაბამისად, მთავრობის მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების დონეზე ანტიკორუფციული პოლიტიკის მხარდაჭერა.¹⁶

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია 2019-ით განსაზღვრულ მიზნები მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაუმჯობესებასაც. ამ მიმართულებით ანტიკორუფციული სტრატეგიის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კორუფციული რისკების შემცირება და ამასთანავე, არადისკრიმინაციული მიდგომებისა და ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდერნიზება, გამჭვირვალობის მაღალი დონის შენარჩუნების გზით.

2014 წლის 27 ივნისს, ქალაქ ბრიუსელში, ხელი მოეწერა ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA), რომელიც ევროკავშირთან, როგორც საქონლით ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას გულისხმობს. თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება საქართველოს ავალდებულებს ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ევროკავშირისას

¹⁶ საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია 2019, გვ.3 - გვ.7

მიუახლოვოს, შესაბამისად განხორციელოს რეფორმები შემდეგი მიმართულებებით: ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერები, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობა (ელექტრონული კომუნიკაცია, ტრანსპორტი, ფინანსური მომსახურება, ფოსტა და საკურიერო მომსახურება).

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით ასოცირების დღის წესრიგში დგას ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოიცავს შესყიდვების პოლიტიკასა და მის შესრულებაზე მოქმედი დაგეგმილი საკანონმდებლო სამუშაოს თაობაზე ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდებას, რაც გულისხმობს საჯარო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო დაახლოებასა და უწყებათა ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ ინფორმაციასაც. 2016 წლის 31 მარტს, საქართველოს მთავრობამ მიიღო ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა (comprehensive roadmap), რომელიც მოიცავს 2016 წლიდან 2022 წლამდე შესასრულებელ მოქმედების ხუთ ფაზას.¹⁷ აღნიშნული ფაზების საბოლოო მიზანია საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის საჯარო შესყიდვების კანონმდებლობასთან დაახლოება.

პირველი ფაზა მოიცავს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებას, რომელიც, რა თქმა უნდა, მიზნად ისახავს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის ანალოგიურ კანონმდებლობასთან მაქსიმალურად დაახლოებას. კანონში შევიდა შემდეგი ცვლილებები:

- გამოიცა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მარტის №4 ბრძანება. შედეგად, დაიხვეწა ელექტრონული ტენდერების ჩატარების პროცედურები. გარდა ამისა, პრეისკურანტის ფორმით შესასყიდ CPV კოდებს დაემატა ახალი კოდი – 85100000 – ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები.

¹⁷ ფაზებისა და მათი განხორციელების შესახებ ინფორმაცია მოპოვებულია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშიდან და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიშიდან.

DCFTA – <http://www.dcfta.gov.ge/ge/home>

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში - <http://procurement.gov.ge/>

- გამოიცა „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 19 მარტის №7 ბრძანება. შედეგად, პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა ან უარის სხვაგვარად გამოხატვა აღარ წარმოადგენს პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველს.

- გამოიცა „კერძო შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესყიდვების განხორციელებისა და ამ სისტემით სარგებლობის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 ივლისის №8 ბრძანება. აღნიშნული ცვლილებით კერძო სექტორის წარმომადგენლებს საშუალება მიეცა გამოიყენონ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა მათი ტენდერების გამოცხადებისათვის (ე.წ. „B2B“ ურთიერთობებისას).

- გამოიცა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 20 სექტემბრის №9 ბრძანება. შედეგად, გამკაცრდა კრიტერიუმები გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებისათვის.

- გამოიცა „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 27 ნოემბრის №12 ბრძანება. აღნიშნული ცვლილების შედეგად, ხარჯთაღრიცხვის განუფასებლობა მხოლოდ მაშინ გახდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი, თუ იგი საერთოდ არ არის წარდგენილი ან წარდგენილ ხარჯთაღრიცხვაში განუფასებელი პოზიციების რაოდენობა აღემატება განსაფასებელი პოზიციების 1%-ს.

- გამოიცა „კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანება და დამტკიცდა კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების ერთიანი წესი, შესყიდვის ობიექტების განურჩევლად.¹⁸

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის ანგარიში, გვ.23-24.

მეორე ფაზად განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული პორტალის დახვეწა, ახალი ელექტრონული სერვისებისა და პროცედურების განვითარება. აღნიშნულთან დაკავშირებით განისაზღვრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ახალი ინსტიტუციური მოწყობა. კერძოდ, სისტემაში ჩაშენდა ევროკავშირის ზღვრებს ზემოთ სატენდერო დავების გასაჩივრების ახალი პროცედურა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავებს განიხილავს საბჭო განსხვავებული შემადგენლობით. საბჭოს განახლებული შემადგენლობით ფუნქციონირებისა და ბიზნეს - პროცესების მხარდასაჭერად, ასევე დაინერგა ახალი ელექტრონული სერვისები. ცვლილება ასევე აისახა დავების განხილვის კალენდარში, სადაც ევროკავშირის ზღვრებს ზემოთ გასაჩივრებულ ტენდერებს ენიჭება განსხვავებული ფერი და უნიკალური ნომერი.

სტატისტიკური ანალიზი:¹⁹

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მეორე გამოქვეყნებული ემპირიული მონაცემების მიხედვით, 2014 წლიდან 2018 წლამდე საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ჯამური ღირებულება სტაბილურად მზარდია, ჩავარდნა შეინიშნება 2017 წელს, რადგან 2016 წელთან შედარებით შესყიდვების ჯამური ღირებულება 373 455 664 ლარით (≈9,3%) არის შემცირებული, თუმცა 2018 წელს აღნიშნული მონაცემი გაზრდილია დაახლოებით 12%-ით. საერთო ჯამში, ბოლო 5 წლის მანძილზე (2014-2018) სახელმწიფო შესყიდვების ჯამური ღირებულება გაზრდილია დაახლოებით 43,5%-ით.

2018 წელს შესყიდვების საერთო ღირებულების 81% განხორციელდა ელექტრონული შესყიდვის საშუალებით, რომლის 19%-ის შესყიდვა მოხდა გამარტივებული წესით, რაც წინა 2017 წლის მონაცემთან შედარებით 5%-ით არის შემცირებული.

წელი	შესყიდვების ჯამური ღირებულება	ელექტრონული შესყიდვების ჯამური ღირებულება	გამარტივებული შესყიდვების ჯამური ღირებულება
------	-------------------------------	---	---

¹⁹ ემპირიული მონაცემები აღებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდიდან - www.spa.ge

2014	2,846,942,257	1,931,200,046	915,742,211
2015	3,203,258,126	2,124,163,190	1,079,094,935
2016	4,018,097,958	2,532,805,944	1,485,292,014
2017	3,644,642,294	2,763,441,150	881,201,144
2018	4,087,214,400	3,308,643,197	778,571,203

შენიშვნა: ელექტრონული შესყიდვები მოიცავს ელექტრონულ ტენდერებს, კონსოლიდირებულ ტენდერებს და კონკურსებს

სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით მიღებული დანაზოგის მიმართულებით საკმაოდ კარგი მდგომარეობაა. საანგარიშო პერიოდში (2014-2018 წლები) საქონლის სახელმწიფო შესყიდვით მიღებული დანაზოგია - 336 965 841 ლარი, სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვით მიღებული დანაზოგია - 690 394 575 ლარი, ხოლო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვით - 297 931 831 ლარი. საერთო ჯამში, საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების საშუალებით მიღებულია დაახლოებით 1.3 მლრდ ლარის დანაზოგი, რაც 2014-დან 2018 წლამდე განხორციელებული ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვების საერთო ღირებულების დაახლოებით 10.5%-ს შეადგენს.

წელი	ტენდერების სავარაუდო ღირებულება			სახელმწიფო ღირებულება		
	საქონელი	სამშენებლო	მომსახურება	საქონელი	სამშენებლო	მომსახურება
2014	535,731,257	1,075,630,199	333,655,261	478,011,901	918,627,950	307,244,303
2015	645,218,445	1,303,732,992	343,695,756	537,918,938	1,144,773,383	310,250,656
2016	608,194,627	1,534,280,771	408,032,319	542,268,440	1,359,884,102	369,920,135
2017	587,160,402	1,719,265,100	434,506,892	536,769,557	1,542,328,073	403,438,970
2018	773,503,455	1,941,675,686	480,933,804	717,873,509	1,734,667,834	457,834,783

2018 წელს, ისევე, როგორც წინა წლებში, სახელმწიფო შესყიდვების მთლიან მოცულობაში ყველაზე დიდი ადგილი სამშენებლო შესყიდვებს უჭირავს ღირებულებით დაახლოებით 1,7 მლრდ ლარი, რაც მთლიანი შესყიდვების 59,6%-ს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს საქონლის შესყიდვა 24,7%, ხოლო მომსახურების შესყიდვის წილი 2018 წლის მთლიან შესყიდვებში 15,7%-ს შეადგენს.

	დანაზოგი		
წელი	საქონელი	სამშენებლო	მომსახურება
2014	57,719,356	157,002,249	26,410,958
2015	107,299,507	158,959,609	33,445,100
2016	65,926,187	174,396,669	38,112,184
2017	50,390,845	176,937,027	31,067,922
2018	55,629,946	23,099,021	207,007,852

2018 წელს ყველაზე მეტი ეკონომია (181,602,596 ლარი) გაკეთდა „მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების“ კოდზე, შემდეგია „შენობის დასრულების სამუშაოები“ (13,728,948 ლარი), მესამე ადგილს კი იკავებს „საინჟინრო მომსახურებები“ დანაზოგით 7,379,164 ლარი. ელექტრონული შესყიდვებით მიღებული ეკონომიის მიხედვით ტოპ ათეულში მოხვდა კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარების, ავტოსატრანსპორტო საშუალების, დასუფთავება და სანიტარიული მომსახურებისა და სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებების კოდებიც.

2018 წელს ყველაზე მეტი ეკონომია ვაჭრობის შედეგად მიიღო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (50 მლნ. ლარზე მეტი). ხოლო მომდევნო ადგილებს ინაწილებენ თბილისის მერია (27 მლნ. ლარზე მეტი) და შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების (16 მლნ. ლარზე მეტი) კომპანია. ათეულში შედიან: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი, შპს სტადიონი, შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია და ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობა.

დავების განხილვასთან დაკავშირებით საქართველოს შესყიდვების სისტემა 2018 წლის განმავლობაში საკმაოდ განვითარდა. 2018 წელს დავების საბჭოში შესულია 1040 საჩივარი, რაც 2017 წელთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 30%-ით. აღნიშნული კლება განპირობებულია გასულ წლებში გატარებული რეფორმით. კერძოდ, 2017 წელს ძალაში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა საჩივრის წარდგენის

საფასური, რომელიც შეადგენს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 2%-ს, მაგრამ არაუმეტეს 500 და არანაკლებ 100 ლარისა. გარდა ამისა, განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა ცნება. აღნიშნული განსაზღვრების შედეგად, სატენდერო ან საკონკურსო პირობების გასაჩივრება შეუძლია სისტემაში რეგისტრირებულ ნებისმიერ პირს. ხოლო, მას შემდეგ რაც დასრულდება სატენდერო ან საკონკურსო წინადადებების მისაღებად განკუთვნილი ვადა, გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ ტენდერში/კონკურსში მონაწილე პრეტენდენტს. დავების საბჭოში შესული 1040 საჩივრიდან დაკმაყოფილდა მხოლოდ 215 (21%), არ დაკმაყოფილდა - 263 (25%), ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 373 (36%), დაუშვებლად იქნა მიჩნეული - 166 (16%), ხოლო გაუქმდა - 23 (2%) საჩივარი. მიღებული საჩივრებიდან უმეტესობა (825) ეხებოდა სატენდერო/საკონკურსო კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, ხოლო 215 საჩივარი სატენდერო პირობებს.²⁰

§3.2. რაციონალური სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის შემუშავებისა და მისი ეფექტიანი განხორციელების გზები

შესყიდვების მართვასა და პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები გულისხმობს ისეთ ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლის საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ, პროდუქტიულ და ეფექტიან განკარგვას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიშის მიხედვით²¹, ამ მიმართულებით სისტემური ხარვეზები გამოვლინდა შესყიდვების თითქმის ყველა, განსაკუთრებით კი დაგეგმვის ეტაპზე. კერძოდ: საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მათ შემდგომ ფორმულირებაში სატენდერო დოკუმენტაციაში; შემსყიდველთა მხრიდან შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრაში, რაც რიგ შემთხვევებში რეალურ საჭიროებასა და მიწოდებულ საქონელს/მომსახურებას შორის შეუსაბამობის გამომწვევი მიზეზი ხდება; შემსყიდველთა მხრიდან ბაზრის წინასწარ კვლევაში; ტენდერების დაუსაბუთებელ შეწყვეტასა და პრეტენდენტთა დისკვალიფიკაციაში.

სახელმწიფო აუდიტის მიერ 2015-2018 წლებში ექვსი მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების 21% ეკუთვნოდა სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებას, საიდანაც

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში.

²¹ იხ. ლინკი - <https://sao.ge/about-us/annual-perfomance-report/annual-report-2018/890>

შესრულებულ იქნა რეკომენდაციების 40%, ნაწილობრივ შესრულდა - 11%, პროცესშია - 36%, ხოლო 13% ჯერ კიდევ შეუსრულებელია.

მსოფლიო მასშტაბით ყოველწლიურად სახელმწიფოები დაახლოებით 9.5 ტრილიონ აშშ დოლარს ხარჯავენ შესყიდვების სფეროში, თუმცა, მიუხედავად ამისა, შესყიდვების შესახებ ინფორმაცია ხშირად საჯარო შემოწმებისა და დაკვირვებისთვის ხელმიუწვდომელია. მსოფლიო ბანკისა და DFID-ის საჯარო შესყიდვებში ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების პროექტით Open Contracting Data Standard (OCDS), რომლის დანერგვაც საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს, სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის ასამაღლებლად განსაზღვრულია შემდეგი მიდგომები:

- ინფორმაციის ყოველწლიური გამოქვეყნება: გამჭვირვალობის გაუმჯობესება ნაბიჯ-ნაბიჯ;
- მარტივი და ხელმისაწვდომი JSON სტრუქტურა;
- შესყიდვის პროცესის ყველა ეტაპის გამოქვეყნება;
- შესყიდვის პროცესების შემაჯამებელი ჩანაწერების/გამოცემების გაკეთება
- ყველაზე ხშირად მოთხოვნილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციებს, სატენდერო ინფორმაციას, ანგარიშებს, ფულად რესურსებს, გავლილ ეტაპებს, დოკუმენტებსა და ა.შ.;
- ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის სხვადასხვა სახით წარმოდგენა (გულისხმობს ინფორმაციის მიწოდების მარტივ, საშუალო და რთულად აღსაქმელ დონეებად);
- მონაცემთა გამოქვეყნების საერთო სტანდარტის შემუშავება;
- მონაცემთა შეგროვებისა და გაუმჯობესების საერთაშორისო სახელმძღვანელოებით სარგებლობა;
- მომხმარებლების მოზიდვა ხელმისაწვდომი ინფორმაციის ფართო სპექტრით.

რაციონალური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, მსოფლიო ბანკისა და DFID-ის საჯარო შესყიდვებში ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესების პროექტის მხარდაჭერით, აქტიურად მუშაობს Open Contracting Data Standard (OCDS) დანერგვის კუთხით. ამ კუთხით, მიმდინარე წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ამოქმედდა

სპეციალური ვებგვერდი - opendata.spa.ge, რომლის მეშვეობით ეტაპობრივად ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია და მონაცემები ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული ელექტრონული ტენდერების შესახებ JSON-ფორმატში, როგორც აგრეგირებული სახით, ასევე ცალკეული შესყიდვების შესახებ.

2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (e-Procurement) დაემატა კონსოლიდირებული ელექტრონული ტენდერის პროცედურა რევერსული აუქციონის გარეშე, ასევე დაინერგა სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ელექტრონული კითხვარი და სისტემაში რეგისტრირებული შემსყიდველი ორგანიზაციების პროფილს დაემატა რეგიონების მიხედვით კატეგორიზაციის კომპონენტი.

მესამე ფაზა მოიცავს ტრენინგების განხორციელებას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლებისათვის. აღნიშნულის შესასრულებლად 2018 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო, თუ ადგილობრივ სემინარებში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად ესტუმრნენ სხვადასხვა ქვეყანას, შეხვდნენ უცხოელ კოლეგებს და დაესწრნენ სემინარებს; მონაწილეობა მიიღეს ქ. ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო ფორუმში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და სხვა საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტები და ორგანიზაციები; სააგენტოს წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ ავსტრიაში, სადაც შეხვედრები გაიმართა ავსტრიის საჯარო შესყიდვების ფედერალურ უწყებასთან, ფინანსთა სამინისტროსთან, ავსტრიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურ სააგენტოსთან, ასევე ფედერალური მიწების რეგიონალური ხელისუფლების და ქალაქ გრაცის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან; მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის კომერციული სამართლის განვითარების პროგრამისა (CLDP) და საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ორგანიზებით გამართულ კონფერენციაში, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო შესყიდვებში შეთანხმებული ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის საკითხებს; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელი დაესწრო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ეგიდით სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრას (Advanced Global Workshop on Government Procurement) ქ. ჟენევაში (შვეიცარიის კონფედერაცია), რომელიც მიზნად ისახავდა ვაჭრობის მსოფლიო

ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას; შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელმა პირებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო კონფერენციებში „Global Public Procurement Conference“ და “4th Conference of the Asia Pacific Public Electronic Procurement Network“ ქ. ვაშინგტონში (ამერიკის შეერთებული შტატები). ღონისძიებების ფარგლებში მოხდა საქართველოში არსებული საჯარო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შესახებ გამოცდილების გაზიარება და დაისახა სამომავლო გეგმები საჯარო შესყიდვებში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შესახებ გლობალური სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებული გეგმები.

DCFTA-ს შესრულების მეოთხე ფაზა მოიცავდა ტრენინგების ჩატარებას შემსყიდველი ორგანიზაციების, ეკონომიკური ოპერატორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რაც საკმაოდ წარმატებულად განხორციელდა. სასწავლო ცენტრში გარდა ძირითადი ორკვირიანი კურსისა ასევე განხორციელდა ტრენინგები სამი განსხვავებული პროგრამით: 1. „სიახლეები სახელმწიფო შესყიდვებში“ მოქმედი შესყიდვების სპეციალისტებისათვის; 2. „სახელმწიფო შესყიდვების აქტუალური გამოწვევები და სიახლეები“ საქართველოს მუნიციპალიტეტების მერებისთვის; 3. „სახელმწიფო შესყიდვების კურსი და ტრენერთა ტრენინგი (ToT) მიმწოდებლებისათვის“.

მხოლოდ 2018 წელს სააგენტოს სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგებისა და სემინარების 26 ციკლი (ნაკადი), რომელშიც მონაწილეობდნენ მსმენელები საქართველოს ყველა რეგიონიდან. სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადდა სულ 315 (სამას თხუთმეტი) სერტიფიცირებული მსმენელი. ასევე, მოეწყო 5 თემატური შეხვედრა საქართველოს მუნიციპალიტეტების მერებთან და მათ პასუხისმგებელ თანამშრომლებთან (117 მსმენელი) და 13 ერთდღიანი ტრენინგი სერტიფიცირებული სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტებისათვის (369 მსმენელი), ასევე ერთი ტრენინგი მიმწოდებლებისთვის (15 მსმენელი); ჯამში გადამზადდა 816 (რვაას თექვსმეტი) მსმენელი.²²

2018 წლის განმავლობაში, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში და საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის დახმარებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სამუშაო შეხვედრები გამართა ადგილობრივ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან ბათუმში,

²² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის სამიქნობის ანგარიში, გვ.40-41.

თელავში, გორში, ქუთაისსა და ზუგდიდში. აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავდა ადგილობრივი მცირე და საშუალო მეწარმეების საჯარო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის ხელშეწყობასა და წახალისებას.

საბოლოო, მეხუთე ფაზის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაევალა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება და ელექტრონულად გამოქვეყნება ვებ-გვერდზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მოამზადა და საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის მხარდაჭერით გამოსცა შემდეგი სახელმძღვანელოები:

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: CMR, ePlan, SMP და რანჟირების ელექტრონული მოდულები;

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: ელექტრონული ტენდერები;

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: შესყიდვების ელექტრონული პროცედურა დონორის სახსრებით და საგრანტო კონკურსის ელექტრონული სისტემა;

- სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო: სისტემის ფუნქციონალი, მომხმარებლის რეგისტრაცია და პროფილის მართვა;

- საქართველოს კანონმდებლობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

- სახელმწიფო შესყიდვები: მეთოდური მითითებები და საუკეთესო პრაქტიკა.

საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ეკონომიკური პროგრესის მისაღწევად გამართული სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის არსებობის აუცილებლობა გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

1. ლეგალური რისკების მართვა დანახარჯების ლეგალურად შემცირების გზით, სამართლიანობის დაცვისა და ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების თავიდან არიდების გზით.

2. გამოცდილების დაგროვებით სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობების გათვალისწინებით, მისი გაზიარებით - სხვადასხვა სახის სწავლებებისა და ტრენინგების ჩატარებით, რაც უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების არსებობას. კვალიფიციური კადრები კი, როგორც ყველა სფეროში, სახელმწიფო შესყიდვების სფეროშიც, ეკონომიკური წარმატების მომტანია.

3. ვყიდულობთ საუკეთესო ფასად - მიუხედავად იმისა, რომ ფასის მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებას უარყოფითი მხარეებიც აქვს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ხელს უწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალურ ხარჯვას და, ასე თუ ისე, მაინც ვლებულობთ იმ პროდუქტს, რისი შეძენაც გვსურდა.

4. საზოგადოების ნდობის მოპოვება ძალიან რთული ამოცანაა, რასაც საკმაოდ კარგად ასრულებს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ მაინც ჩნდება გარკვეული კითხვები კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით, აღნიშნული სფერო მაინც გამჭვირვალედ რჩება და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო იხვეწება.

5. პატიოსნება, გამჭვირვალობა და სამართლიანობა - ეს ის ცნებებია, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას დაცული სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში, რადგან საზოგადოებრივ ღირებულებებს შორის მათ უთავრესი ადგილი უჭირავთ და შეუძლებელი იქნება საზოგადოების ნდობის მოპოვება, თუ ზემოთ ჩამოთვლილი სამი ცნება სახელმწიფომ საკუთარ მიზნად არ აქცია.

6. სამუშაო ეთიკის ჩამოყალიბება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სწორი და მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, რადგან კვალიფიციური და პროფესიონალი კადრები, ისევე როგორც ყველა დანარჩენ სფეროში, სახელმწიფო შესყიდვების სფეროშიც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის წარმატების მისაღწევად.

7. ინოვაციების ხელშეწყობა უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი, რადგან ინოვაციების გარეშე შეუძლებელია კონკურენციის გაწევა საერთაშორისო ბაზარზე.

8. ურთიერთობების დამყარება სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს შორის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებისთვის. ამ შემთხვევაში ხდება კერძო და სახელმწიფო სექტორის ერთმანეთთან დაკავშირება, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება და ერთობლივი ზრუნვა ქვეყნის მომავალზე.

დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ დიდი ნაბიჯებით მიიწევს წინ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რეფორმა უკვე გატარდა და შესყიდვების სისტემა ევროსტანდარტს უფრო მეტად დაუახლოვდა, ჯერ კიდევ არსებობს საკითხები, რომლებიც გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მიმაჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ევროკავშირის ანალოგიური სისტემის სტანდარტებთან დაახლოება დადებითი მოვლენაა, თუმცა საქართველო ჯერ კიდევ შორს არის „განვითარებული ქვეყნის“ სტატუსისგან და შესაძლებელია, ზოგიერთმა ევროპულმა მიდგომამ საქართველოში არ გაამართლოს. ამისათვის საჭიროა, რომ რეფორმების გატარებამდე ძირულად იქნას შესწავლილი არსებული მდგომარეობა, კარგად გაანალიზდეს სამომავლო პერსპექტივები და რეფორმის მოსალოდნელი შედეგები. მრავალი კვლევით დასტურდება, რომ მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც კი არ არის ბოლომდე სრულყოფილი სახელმწიფო შესყიდვების სისტემა. ევრაზიის 16 ქვეყნის სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შედარებითმა ანალიზმა²³ აჩვენა, რომ აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობებს შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ერთიანი მოდელი ყველა ქვეყანის რეალობას ვერ ერგება.

გამჭვირვალობის მხრივ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა განვითარებად ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა, თუმცა სრულყოფამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. ელექტრონული სისტემა სრულად ვერ ფარავს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მოცულობას. 2018 წლის მონაცემებით, მთლიანი შესყიდვების 19%-ს (778 571 203 ლარი) შეადგენს გამარტივებული წესით შესყიდვები, რაც საკმაოდ დიდი მოცულობაა. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების სააგენტო ახორციელებს გამარტივებული ხელშეკრულებების მონიტორინგს და პასუხს ითხოვს საეჭვო ხელშეკრულებების აღმოჩენის შემთხვევაში, ასეთი ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი სრულად მაინც ვერ კონტროლდება, ამიტომაც აღნიშნული სახის შესყიდვები გარკვეულწილად რისკის ქვეშ აყენებს გამჭვირვალობასა და ანტიკორუფციულ ქმედებებს. თუ საკითხს შემსყიდველის პოზიციიდან მივუდგებით, რა თქმა უნდა, მას

²³ სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის რეიტინგი (TPPR) არის პროექტი, რომელიც აფასებს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და აღსრულების პროცესს ევრაზიის რეგიონში. დაარსდა ღია საზოგადოების ინსტიტუტის ბუდაპეშტის ფონდისა (OSI) და Hivos-ის მიერ, რომელიც ხორციელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ფონდისა (IDFI - დაფუძნებულია საქართველოში) და სხვადასხვა რეგიონების პარტნიორი ორგანიზაციების მიერ.

ურჩევნია გამარტივებული ხელშეკრულებების გაფორმება პროცედურული სიმარტივის გამო, თუმცა მაინც შესაძლებელია გარკვეული სტანდარტების დაწესება (მაგალითად, შესყიდვის განსახორციელებლად ბაზრის კვლევისას მოძიებულ მიმწოდებელთა მინიმალური რაოდენობის მოთხოვნა) და CMR მოდულის გაუმჯობესება.

სახელმწიფო ბიუჯეტის რაციონალურ და მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ტენდერების განხილვა, რომლის კონცეფციის უდიდესი ნაწილი ეფუძნება მასშტაბის ეფექტსა და რაციონალური ხარჯვის პრინციპებს. ერთის მხრივ, შესაძლებელია ვთქვათ რომ კონსოლიდირებული ტენდერების არსებობა ხელს უშლის მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობის საკითხს, რადგან მათ არ აქვთ აღნიშნულ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად და ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო რესურსი, თუმცა თუ სტატისტიკას გადავხედავთ, 2018 წელს სახელმწიფო შესყიდვების მოცულობამ ჯამში 4 (ოთხი) მილიარდ ლარს გადააჭარბა, საიდანაც 3,7 მილიარდი (93%) ლარის შესყიდვა განხორციელდა ღია ელექტრონული ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების გზით, ხოლო 290 მილიონი (7%) ლარი დაიხარჯა კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით, რაც მთლიანი შესყიდვების მცირედი ნაწილია და დიდ გავლენას არ ახდენს მცირე და საშუალო მეწარმეების მდგომარეობაზე. ამასთან, კონსოლიდირებული ტენდერით შეისყიდება ისეთი პროდუქცია, როგორცაა: A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი, საწვავი, ფიჭური სატელეფონო მომსახურება, სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერები, საბურავები, უწყვეტი კვების წყაროები, პრინტერები და კარტრიჯები და ა.შ. აღნიშნულ პროდუქციას მოიხმარს თითქმის ყველა მხარჯავი დაწესებულება, ამიტომაც ძალიან რთულია კონსოლიდირებული ტენდერების გარეშე საფუძვლიანად გაკონტროლდეს თითოეული შესყიდვა.

ერთ-ერთი ალტერნატივა კონსოლიდირებული ტენდერების ჩასანაცვლებლად არის ზემოთ აღნიშნული პროდუქტისა თუ მომსახურების ერთიანი სტანდარტის/ტექნიკური პარამეტრების ჩამოყალიბება და ფასის ზედა ზღვრის დაწესება, რომელიც საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებების პარალელურად დაკორექტირდება. ასეთ შემთხვევაში, ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული იქნება შეიძინოს სტანდარტული სახის პროდუქტი/მომსახურება. ზემოთ ხსენებული ალტერნატივის დადებით მხარედ შეგვიძლია განვიხილოთ მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობა, ხოლო უარყოფით მხარედ - მასშტაბის ეფექტის დაკარგვა და

შემსყიდველებისთვის დამატებითი პროცედურების განხორციელების ვალდებულების დაკისრება (იგულისხმება დამატებითი ტენდერების გამოცხადება).

შესყიდვების სისტემის ერთ-ერთი პრობლემატური მხარეა წინასწარი დაგეგმვის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვების ვებ-გვერდს ჩაშენებული აქვს ePlan მოდული, შემსყიდველი ორგანიზაციების წლიური გეგმები სათანადოდონზე მაინც ვერ კონტროლდება. ePlan მოდულში შესაძლებელია დაფიქსირებული მონაცემების კორექტირება, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას საშუალებას აძლევს წლის განმავლობაში შეცვალოს სააგენტოსთვის წარდგენილი წლიური გეგმა საკუთარი შეხედულებისამებრ. აღნიშნულის ნათელი მაგალითია, შპს „საქართველოს ფოსტის“ შემთხვევა: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების მიუხედავად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის მომზადებისას, კომპანიაში სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა, მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა. აღნიშნულს ცხადყოფს ის ფაქტი, რომ 2017 წლის გეგმა 76-ჯერ შეიცვალა. გარდა ამისა, გეგმა საბოლოოდ დაზუსტდა 2017 წლის 21 დეკემბერს და ითვალისწინებდა 18.4 მლნ ლარის ღირებულების შესყიდვების განხორციელებას, თუმცა ფაქტობრივმა ხარჯმა 11.8 მლნ ლარი შეადგინა (64%).²⁴

ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიპოვება სტატისტიკური ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გეგმის კორექტირების თაობაზე, რაც რთულს ხდის აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ზუსტი დასკვნების გამოტანას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია არ შემდგარი, შეწყვეტილი და უარყოფითად დასრულებული ტენდერები. ბოლო ხუთი წლის მონაცემების მიხედვით, ასეთი ტენდერების პროცენტული მაჩვენებელი გამოცხადებული ტენდერების მთლიან რაოდენობაში თითქმის უცვლელია (27%-31%). განსაკუთრებით პრობლემატურია ტენდერები, რომლებიც რამდენჯერმე უშედეგოდ გამოცხადდა, რის მიზეზადაც შეგვიძლია ვივარაუდოთ შემდეგი:

1. არაზუსტად, არაპროპორციულად, ზედმეტი სიმკაცრით ან ზედმეტი შეზღუდვებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც აბრკოლებს ზოგიერთ მიმწოდებელს ტენდერში მონაწილეობისგან, შესაბამისად, ასეთ ტენდერს ან

²⁴ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ.20

არ ჰყავს მონაწილე, ან მონაწილეობს ძალიან ცოტა, ძირითადად ერთი მიმწოდებელი, რომელზეც არის მორგებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა ბაზარზე შესაძლოა არსებობს სხვა მიმწოდებელიც, რომელმაც აღნიშნული სიტუაციის გამო ვერ შეძლო ტენდერში მონაწილეობის მიღება. ტენდერებში, რომელსაც ჰყავს ერთი მონაწილე, ნაკლებია გაკეთებული ეკონომია, არაეფექტურია მხარჯავი დაწესებულებისთვის და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 2018 წლის მონაცემებით, თითოეულ ტენდერში პრეტენდენტთა საშუალო რაოდენობაა 2,1, რაც არც ისე სახარბიელო მონაცემია.

2. ბაზრის კვლევის ეტაპის უგულებელყოფა/არასათანადოდ შესრულება. ვინაიდან ბაზრის კვლევის ეტაპზე შემსყიდველი ორგანიზაცია ადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას, აუცილებელია მოძიებულ იქნას რაც შეიძლება მეტი პოტენციური მიმწოდებელი, რათა მეტი გასაქანი მიეცეს შემსყიდველს. ხშირად, ამ ეტაპზე შემსყიდველი ორგანიზაციები უკავშირდებიან მხოლოდ მათთვის უკვე ნაცნობ კომპანიებს და არ წუხდებიან სხვა სუბიექტების მოძიებით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მიმწოდებლად რეგისტრირებულ სუბიექტს შეუძლია მისთვის საინტერესო შესყიდვის კოდზე ისარგებლოს ესემეს შეტყობინებებით, მათთვის მაინც რთულია ფეხი აუწყოთ კომპანიებს, რომლებსაც წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია შესყიდვის ობიექტისა და მოსალოდნელი ტენდერის შესახებ. ამასთან, მიმწოდებლების მოძიება სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან შესყიდვების ვებ-გვერდზე არსებობს რანჟირების ფუნქცია, რომლითაც შესაძლებელია შესყიდვის ნებისმიერ CPV კოდზე მოიძიო მიმწოდებლები გაფილტვრის საკმაოდ მოქნილი სისტემით.

აღნიშნული პრობლემის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური აუდიტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც 2017 წელს სამინისტროს მიერ შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული 94 შესყიდვიდან, ბაზრის კვლევა არ განხორციელებულა 54 შემთხვევაში.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა სწორი მიმართულებით ვითარდება, ყოველწლიურად ხდება ახალი სტანდარტებისა და ნორმების დანერგვა და მოძველებული მიდგომების კორექტირება. სისტემას საკმაოდ დიდი ხელშეწყობა აქვს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების სახით, რაც უფრო და უფრო აახლოვებს საქართველოს სახელმწიფო

შესყიდვების სისტემას ევროპულ სტანდარტებთან. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, დღესდღეობით სახელმწიფო შესყიდვების სისტემის წინაშე მაინც დგას მნიშვნელოვანი სირთულეები, რომლის დაძლევა უნდა მოხდეს კარგად ჩამოყალიბებული და თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებით, წარმატებული ქვეყნების პრაქტიკისა და, რაც მთავარია, ქართული რეალობის გათვალისწინებით. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის სრულყოფა საკმაოდ დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის, რაც თავისთავად დადებითად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, ეს უკანასკნელი კი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ნებისმიერი სახის პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი, დოქტორანტი გიორგი ყუფარაძე, დოქტორანტი ნანა მაისურაძე, ლექციების კურსი - ვიშეგრადის ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა ევროინტეგრაციის გზაზე
2. გაფრინდაშვილი გიორგი, შესყიდვების სახელმწიფო პოლიტიკა და მისი გავლენა მეწარმეობის განვითარებაზე, თბილისი, 2015 წელი;
3. გველესიანი რევაზ, „მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა“, თბილისი, 1999 წელი;
4. გველესიანი რევაზ, გოგორიშვილი ირინა, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბილისი, 2008 წელი;
5. გველესიანი რევაზ, გოგორიშვილი ირინა, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, თბილისი, 2009 წელი;
6. გველესიანი რევაზ, გოგორიშვილი ირინა, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბილისი, 2012 წელი;
7. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
8. საქართველოს კანონი კონკურენციის შესახებ, 2014 წელი;
9. საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, 2012 წელი;
10. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ბრძანებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
11. ხომერიკი თემურ, კონკურენტული რეგულირების პრაქტიკა საერთაშორისო პროკურმენტში, საქართველოს ეკონომიკა, № (178) 2013
12. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N170 დადგენილება;
13. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდი - www.procurement.gov.ge;
14. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი - www.nplg.gov.ge;
15. მსოფლიო ბანკის წიგნი - http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia_Book_Georgian.pdf;
16. უცხოენოვანი სტატია: https://ec.europa.eu/growth/single-market/public-procurement/strategy_en

17. უცხოენოვანი სტატია: <https://www.innovationpolicyplatform.org/content/public-procurement-innovation>
18. უცხოენოვანი სტატია: <https://blogs.worldbank.org/governance/three-reasons-procurement-essential-development>
19. უცხოენოვანი სტატია: <https://ncppc.files.wordpress.com/2017/08/top-ten-reasons-why-public-procurement-is-a-strategic-partner-in-achieving-public-good.pdf>
20. OCDS სტანდარტი - <http://standard.open-contracting.org/latest/en/>
21. პროექტი DIGIWHIST - <http://digiwhist.eu/about-digiwhist/>
 - <https://opentender.eu/>
 - <http://europam.eu/?module=overview>
22. TPPR რანჟირება - <https://www.tpp-rating.org/page/eng/index>
23. საერთაშორისო გამჭვირვალობა - <https://www.transparency.org/>
24. ჩეხეთის მთავრობის საიტი - <https://www.vlada.cz/en/>
25. ჩეხეთის სახელმწიფო შესყიდვების საიტი - <https://nen.nipez.cz/>
26. მსოფლიო ბანკი - <https://www.worldbank.org/>
27. სლოვაკეთის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ვებ. გვერდი - <https://www.uvo.gov.sk/>
28. ანტიკორუფციული და სახელმწიფო აღმშენებლობის ევროპული კვლევითი ცენტრი - <https://www.againstcorruption.eu/>
29. ოფიციალური ინფორმაცია ვიშეგრადის ოთხეულის შესახებ - <http://visegradrevue.eu>